ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ГАЗЕТА ГАМОРДИС 1920 ВЕЛИС З ИВНИСИДАН

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 51 (19792) ოთხშაბათი, 1 მარტი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ განიხილა და მოიწონა ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის ინფორმაცია ლატვიისა და ესტონეთის მოკავშირე რესპუბლიკებში მოგზაურობის, პარტიულ აქტივთან შეხვედრებისა და საუბრების და მშრომელებთან საუბრების შედეგებზე.

აზრთა გაზიარებას, რომელიც გამართა შრომთის კოლექტივებში, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში, საუბრებს მუშებთან, კოლმეურნეებთან, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებთან, შემოქმედი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან გაჩაღებულ აქტიურ საკითხებზე დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის, ამ რესპუბლიკებში შექმნილი მატერიალურ-ტექნიკური, კულტურული და სულიერი პოტენციალის უფრო სრული გამოყენებისათვის. პრინციპული მითითებანი ეკონომიკური და სოციალური მშენებლობის, სოციალისტური დემოკრატიის განვითარების, გარდაქმნაში პარტიული ორგანოების, კერძოდ, მათი რაიონული რგოლის როლისა და ადგილის საკითხებზე, პრაქტიკულად უნდა გამოიყენოს საქმიანობაში ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ და შრომითმა კოლექტივმა.

მ. ს. გორბაჩოვის მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა გათვალისწინებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ პარტიულმა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ ღონისძიებანი, რათა გაკეთდეს მუშაობა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, 1987 წლის საგეგმო დავალებათა რეალიზაციისათვის კომუნისტების, ყველა მშრომელის დასარაზმავად.

შესაბამის სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოებს დაევალათ განიხილონ ლატვიისა და ესტონეთის სს რესპუბლიკების მრეწველობის ძირითადი საწარმოო ფონდების განახლების, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების დადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების, სოციალური სფეროს განვითარების, საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გაუმჯობესების საკითხები და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი.

პოლიტბიუროომ განიხილა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის მზადების საკითხი. ამ საკითხზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღინიშნეა, რომ ოქტომბრის 70 წლისთავი არის საბჭოთა ხალხის დიდი დღესასწაული, სოციალიზმის ისტორიულ მიღწევათა დათვალიერება. ამავე დროს ეს არის მოჭანაკი, რომლის მწვერვალიდან უნდა გავიაზროთ განვლილი გზის შედეგები და გაკვეთილები, მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებები, საბჭოთა საზოგადოების წინაშე მდგომი ახალი ამოცანები, მისი განვითარების ახლანდელ, უაღრესად მნიშვნელოვან ეტაპზე.

დაისახა პოლიტიკური, ორგანიზაციული, იდეოლოგიური ხასიათის ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ის, რომ იუბილესათვის მზადებამ აქტიურად შეუწყოს ხელი ქვეყნის კომუნისტებისა და უპარტიოების, ახალგაზრდობის, ყველა მშრომელის შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის აღმავლობას. ხაზგასმით აღინიშნა, თუ რაოდენ საჭიროა წარმოვაჩინოთ ოქტომბრის რევოლუციის მიღწევებისა და საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარის დღევანდელ, თავისი არსით რევოლუციურ გარდაქმნათა ორგანული კავშირი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, თუ რაოდენ საჭიროა ვეწეოდეთ პროპაგანდას სამართლისა და რეალიზმის პოზიციებიდან, გაბედულად ვავლენთ ნაკლოვანებებს, ვრაზმავდეთ მშრომელებს, რათა მტკიცედ იბრძოლონ მათი აღმოფხვრისათვის, გულმოდგინედ იმუშაონ სოციალიზმის სრულყოფის, სკკპ საპროგრამო მიზნების მიღწევისათვის. მოწონებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა საბჭოთა ხალხისადმი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავთან დაკავშირებით, რომელიც პრესაში გამოქვეყნდება.

მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება საკოლმეურნეო ბაზრების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. ამ დადგენილებით დასახულია მნიშვნელოვნად განვამტკიცოთ საკოლმეურნეო ბაზრების მატერიალური ბაზა, გავზარდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემოტანა და ამ ბაზრებზე გაყიდვა, აგრეთვე განვახორციელოთ ზოგიერთი სხვა ღონისძიება, რომელთა მიზანია მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესება და საბაზრო ფასების შემცირებაზე ქმედითი ეკონომიკური გავლენის მოხდენა. მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ საკოლმეურნეო ბაზრები სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინაო კომუნალური მეურნეობის სამინისტროების გამგებლობიდან გადაეცეს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციათა გამგებლობაში. საკოლმეურნეო ბაზრების ხელმძღვანელობისათვის, მათი მუშაობის საჭირო პირობების უზრუნველყოფისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის მთელი პასუხისმგებლობა სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებთან ერთად ეკისრებათ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ განიხილა აგრეთვე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკისა და საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის ზოგიერთი სხვა საკითხი.

საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის დელეგატები

თანა-ტოლ-თათვის სამა-გალითო



მიხა ჩხენკელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მეორე კურსის წარჩინებული სტუდენტი, ნ. მუსხელიშვილის სახელობის სტიპენდიანტი. მან ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის № 1 საშუალო სკოლა. არის მრავალი რესპუბლიკური კონფერენციის მონაწილე მათემატიკაში, ასტრონომიაში, ფიზიკაში. მიღებული აქვს სხვადასხვა ჯილდო, მათ შორის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სიგელი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი, რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ექვსი პირველი ხარისხის დიპლომი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საბჭოს პირველი ხარისხის დიპლომი და სხვა. წარჩინებული სწავლისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის მ. ჩხენკელი დაჯილდოებულია სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით.

მოწაფეობის წლებში იგი სკოლის მოსწავლეთა კომიტეტის თავმჯდომარე და პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის მოადგილე იყო. უნივერსიტეტში შესვლისთანავე, პირველ კურსზე აირჩიეს ფაკულტეტის ალკკ კომიტეტის წევრად, ახლა კი სახწავლო-სამეცნიერო მუშაობის დარგში კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს და კომკავშირის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის წევრია.

სურათზე: მ. ჩხენკელი ატარებს მეცადინეობას უნივერსიტეტთან არსებული ნორჩ მათემატიკოთა სკოლის მოსწავლეებთან.

დ. კურტანიძის ფოტო.

მ. ს. გორბაჩოვი ესაუბრა ჯულიო ანდრეოტის

27 თებერვალს მ. ს. გორბაჩოვმა კრემლში მიიღო იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. ანდრეოტი.

გულახდილ და კეთილმოსურნე ატმოსფეროში მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ევროპისა და საერთაშორისო უმშიროების საკვანძო საკითხებზე, რომლებშიც საბჭოთა კავშირ-იტალიის დიალოგს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

ახლა საერთაშორისო ურთიერთობას, თქვა მ. ს. გორბაჩოვმა, აკლია პოზიტიური, გაბედული, განსაკუთრებით ერთობლივი ნაბიჯები. ამასთან დაკავშირებით მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა ევროპის როლის საკითხი. ბოლო დროს მან თითქოს გამოიჩინა მისწრაფება თავისი წვლილი შეიტანოს ამ საქმეში. ევროპელები რაღაცას აკეთებენ და რაღაც უკვე გაკეთეს, უწინარეს ყოვლისა სტოკჰოლმში. მაგრამ ეს მხოლოდ დაწყებითი ნაბიჯებია დროის მოთხოვნათა შესაბამისად ევროპის უდიდესი გამოცდილების გამოყენებაზე.

მ. ს. გორბაჩოვმა კვლავ უარყოყერ კიდევ გავიცალებული ექვი, თითქოს სსრ კავშირს სურდეს დაარღვიოს ატლანტიკური კავშირი, ჩამოაცილოს დასავლეთი ევროპა ამერიკას. ჩვენ რეალისტები ვართ აქ, კრემლში. მაგრამ ამავე დროს ვხელმძღვანელობთ იმით, რომ თვით ევროპას მსოფლიოს საქმეებში ვერაკინ შეცვლის.

მ. ს. გორბაჩოვმა კვლავ აღნიშნა ღრმა კავშირი საბჭოთა კავშირის ახლანდელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას შორის, სსრ კავშირში მიმდინარე გარდაქმნასა და საერთაშორისო ურთიერთობის გაჯანსაღებისადმი მისწრაფებას შორის და თქვა, რომ ჩვენ გვსურს ყველასათვის ცხადი იყოს ჩვენი მოქმედება, საქმეებს კონსტრუქციულად და პასუხისმგებლობით ვეწეოვით. მაგრამ თუ აქედან ვინმე გამოიტანს დასკვნას, თითქოს სსრ კავშირი მეტად იყოს დაინტერესებული განიარღებით, ვიდრე დასავლეთი, არაფერი არ გამოვა. და კვლავ ხელიდან გაშვებული რჩება შესაძლებლობა დასაბამი მივცეთ ამ პროცესს.

ობიექტურად დგას ამოცანა გადავიყვანოთ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობა რეალურ ნიადაგზე, და როცა გავთავისუფლდებით ბირთვული მძვინვარების მდგომარეობისაგან, დადაწყვეტოთ მრავალი პრობლემა — ეკონომიკური, ეკოლოგიური, ჰუმანიტარული. მსოფლიოში ახლა ასზე მეტი ახალი სახელმწიფოა, რომლებიც ეძებენ თავიანთ გზას, და მათ ასევე მეტი პრობლემა აქვთ, ვიდრე სახელმწიფოებს, რომლებიც საუკუნეებს ითვლიან. ეს პრობლემებიც უნდა გავითვალისწინოთ განვითარებული და განვითარებადი სამყაროს ურთიერთობაში, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, საჭიროა პოლიტიკას ასაზრდოებდეს თანამედროვე რეალობანი. საბჭოთა კავშირს არა აქვს არავითარი განზრახვა ხელყოს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონს შორის არსებული კავშირურთიერთობა. ჩვენ გვესმის, რომ დასავლეთის ქვეყნებს აქვთ ინტერესები აღმოსავლეთში და სამხრეთში. მაგრამ არ ვეთანხმებით პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს ეს ინტერესები დაიკმაყოფილოს იმითი ინტერესების ხარჯზე, ვის რესურსებსაც ეს ეხება. ისტორიულად ჩამოყალიბებული ურთიერთობის ხელყოფასაც, და ახალი სახელმწიფოების კანონიერი უფლებებისათვის ანგარიშის გაწევის სურვილის უქონლობასაც ერთნაირად შეიძლება მოჰყვეს აფეთქებასაში სიტუაციები.

(დასასრული მე-2 გვ.).

საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი

28 თებერვალს პირველი პლენუმი გამართა საბჭოთა კავშირის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ, რომელიც სსრ კავშირის პროფკავშირთა XVIII ყრილობამ აირჩია.

პლენუმმა ერთხმად აირჩია საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ს. ა. შალაევი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ — ვ. გ. ლომონოსოვი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივნებად არჩეულნი არიან გ. ი. იანაევი, ლ. დ. კაზაკოვი, ი. ე. კლიჩკოვი, ვ. ნ. მაკეევი, ვ. მ. მიშინი, ვ. პ. პროვოტოროვი, მ. ბ. რიჟიკოვი, გ. თ. სუხორუჩენკოვი, კ. ტურისოვი.

საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრებად არჩეულნი არიან ვ. ს. ალეშინკოვი, ხ. ალიმოვი, ფ. მ. გერასიმოვი, ი. ი. გლადკი, ვ. ი. გორნჩარიკი, ნ. კ. დოლგუშკინი, ი. ი. ვოლოდინა, ა. მ. იაკოვლევი, ვ. ტ. ივანოვი, ა. ი. იმლინსკი, მ. ვ. იხარლოვა, მ. კ. კონოვა, ვ. ი. კორჟოვი, ი. მ. კულემინი, ნ. ვ. ნემჩენკო, ბ. ს. პარფიონოვი, ა. ი. პეტროვიჩევა, ა. ს. პოტაპოვი, ე. ფაქსელეკოვი, ლ. ხ. რასულოვა, ა. ი. რიბაკოვი, ვ. ა. სოლოგუბი, მ. ა. სრებნი, ვ. ნ. ტუხოვი, ი. ა. შინკევიჩი, ვ. პ. შჩერბაკოვი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. ლიგაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. პ. რაზუმოვსკი.

• • •

გაიმართა აგრეთვე სსრ კავშირის პროფკავშირთა ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა. კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ლ. ა. კუბიკი.

(საკდესი).

გარდაქმნის ენერგია — პრაქტიკულ საქმეებს

სსრ კავშირის პროფკავშირთა XVIII ყრილობამ მუშაობა დაამთავრა

ფაქი ავუწყოთ დროს, პრაქტიკულად გადავწყვეტოთ პრობლემები, რომელებსაც ცხოვრება წარმოშობს — ნიშნავს აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ჭეშმარიტად რევოლუციურ ცვლილებებში. გარდაქმნის პირობებში მშრომელთა ყველაზე მასობრივი ორგანიზაციის ახალ როლსა და ადგილს განიხილავენ პროფკავშირთა XVIII ყრილობის დელეგატები. 27 თებერვალს ყრილობამ მუშაობა განაგრძო.

შეკრებილნი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ბ. ა. ალიევს, ვ. ი. ვოროტნიკოვს, ბ. ხ. ხოლომენცევს, ბ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ბ. ნ. ელცინს, ხ. ლ. ხოკოლოვს, ი. ფ. ხოლოვიოვს, ა. ბ. ბირიუკოვას, ა. ი. ლუკიანოვს, ვ. ა. მედვედევს, ვ. ბ. ნიკოროვს, გ. პ. რაზუმოვსკას.

კრემლის ყრილობათა სასახლეში მოწყობილ პლენარულ სხდომებზე, ექვს სექციაში, რომლებიც მოსკოვის სხვადასხვა დარბაზში მუშაობდნენ, განიხილებოდა უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომლებიც საბჭოთა პროფკავშირებს დაუსახა სკკპ XXVII ყრილობამ, მ. ს. გორბაჩოვის სიტყვამ პროფკავშირთა ყრილობაზე.

ყრილობაზე გამართულ დისკუსიაში დიდი ადგილი უკავია საკითხებს, რომელთა გადაწყვეტაზე დამოკიდებულია შრომის, ეფექტიანობის ზრდა, მისი ხარისხი, სახალხო მეურნეობის გადაყვანა ინტენსიურ რელსებზე. დელეგატები მწვავედ და გულახდილად ლაპარაკობენ იმაზე, რაც ხელს უშლის მუშაობის გაუმჯობესებას, უფრო დიდი საბოლოო შედეგების მიღწევას, აყენებენ კონკრეტულ წინადადებებს „ვიწრო ადგილების“ დასაძლევად.

ამ თემებისადმი მიძღვნილ გამოსვლებს მსჯელავს მთავარი აზრი: ჩვენი მუშაობის ხარისხზე დამოკიდებულია ჩვენი ცხოვრების ხარისხი. ამიტომ ახლა ვერ შევურიგდებით იმას, რომ მოწინავე საწარმოების, საამქროების, ბრიგადების გვერდით ჯერაც ვხედებით რუტინასა და ხალტურას, ვერ შევურიგდებით ისეთ

(დასასრული მე-2 გვ.).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის

მ. ს. გორბაჩოვის განცხადება

1986 წლის 15 იანვარს საბჭოთა კავშირმა წამოაყენა ისტორიული მასშტაბის პროგრამა — ბირთვული იარაღის ეტაპობრივი ლიკვიდაციის პროგრამა. ამ პროგრამის წამოყენებისას ვხელმძღვანელობდით იმ მტკიცე რწმენით, რომ მომავალი უშიშროება უბირთვო უშიშროებაა. საბჭოთა ხელმძღვანელობას, ქვეყნის თავდაცვის საბჭოს, რომლის მეთაურობაც მე მაკისრია, შუდამ უყურადღების ცენტრში აქვთ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მოკავშირეების უშიშროების, საყოველთაო უშიშროების პრობლემები. ოდნავადაც არ გვეპარება ექვი, რომ დედამიწის უშიშროება, კაცობრიობის გადარჩენა უბრუნველყოფილი უნდა იქნეს ერთობლივი ძალებით და პოლიტიკური საშუალებებით, და არა იარაღით.

ხალხების საღი აზრი, პარტიების, მოძრაობების დიდი უმრავლესობა, თვითგადარჩენის ბუნებრივი ინსტინქტი ვერ ურიგდებიან კაცობრიობის თვითმკვლელობის ლოგიკას. ხელმძღვანელობს რა მსოფლიოს წინაშე დიდი პასუხისმგებლობის შეგნებით, საბჭოთა კავშირი საჭიროდ მიიჩნევს, რომ გამონახოს ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებანი უბირთვო, უძალადო მსოფლიოს ინტერესებისათვის.

მოსკოვში ამას წინათ გამართულ ფორუმზე ერთხელ კიდევ ვგრძენით მეცნიერებისა და კულტურის, პოლიტიკისა და რელიგიის გამოჩენილ წარმომადგენელთა მოლოდინი, საწუხარი, დაძაბული ძიება, კვლავ მწვავედ შევგრძენით ჩვენი დროის გარდამტეხი ხასიათი.

რეიკიავიკმა ცხადყო, რომ ბირთვული განიარღება საესებით რეალური პოლიტიკაა. ისლანდიის დედაქალაქში ერთი ნაბიჯიღა გვაკლდა მთელი რიგი ისეთი გადაწყვეტილებების შესახებ მორიგებათა მიღწევას, რომლებიც ერთად ღრმად გაარღვევდნენ ბირთვული საშიშროების ფრონტს. ეს არის რეიკიავიკის სიდიადე და ტრაგედია. სიდიადე იმიტომ, რომ დაისახა უბირთვო მსოფლიოს ხელმისაწვდომი პერსპექტივა. ტრაგედია იმიტომ, რომ ძლავრი ძალები წინააღუდგნენ შეთანხმებებს, დარჩნენ რა ძალისმიერი ბირთვული აზროვნების ტყვეობაში.

ყველისათვის ცნობილია, რა მოხდა რეიკიავიკის შემდეგ. ამერიკის ადმინისტრაციამ მიღწეულისაგან უკან დაიხია. საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებს, ჩვენი იმ მეცადინეობის მიუხედავად, რომ დინამიზმი და კონკრეტულობა მივანიჭოთ მას, კვლავ განზრახ აფერხებენ. და სწორედ ის მოღვაწენი, რომლებსაც ლოგიკურად მიიჩნდათ რეიკიავიკში წინადადებათა მთელი კომპლექსი, სტრატეგიულ შეტევით შეიარაღებას, საშუალო სიშორის რაკეტებს, კოსმოსური იარაღს, ბირთვულ გამოცდებს რომ მოიცავს, ახლა იმით არიან დასაჭმეული, რომ საბოტაჟს უწევენ მორიგებებს თითოეული ამ მიმართულების თაობაზე, თანაც იმოწმებენ იმას, რომ საბჭოთა კავშირი დაჟინებით მოითხოვს მათი პაკეტით გადაწყვეტას. სინამდვილეში მოლაპარაკება ფერხდება ვიწრო ეგოისტური ინტერესებით, უარით, ხელი აიღონ სამხედრო-ტექნოლოგიური უპირატესობის მიღწევის იმედზე, ილუზიური ვარაუდით, რომ წინ გაიჭრებიან, უწინარეს ყოვლისა კოსმოსის მეოხებით.

ჩვენთვის ამგვარი მიდგომა უცხოა, უფრო მეტიც — მიუღებელია. ჩვენი პრინციპული კურსია დაუცხრომლად ვეძებოთ პრობლემების გადაჭრის გზები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ ურთიერთსმისაღებ მორიგებებს, თანაბარ უშიშროებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროომ ამ დღეებში გაეცნიერა უბირთვო მსოფლიოს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხთა კომპლექსი და მიიღო გადაწყვეტილება კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგას წინ ამ მიმართულებით.

დღეს საბჭოთა ხელმძღვანელობის სახელით ვაცხადებ ჩვენს შემდეგ გადაწყვეტილებას.

საბჭოთა კავშირი წინადადებას იძლევა ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების პრობლემა გამოიყოს საკითხთა ბლოკიდან, დაიდოს მის თაობაზე ცალკე შეთანხმება, თანაც — დაუყოვნებლივ. ასეთი ნაბიჯისათვის არის არა მარტო საფუძველი, არამედ ფაქტობრივად მზა მორიგება. რეიკიავიკში დავთქვით, რომ სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ევროპაში ყველა თავის საშუალო სიშორის რაკეტას. ამავე ვადებში ამ კლასის საბჭოთა რაკეტების რაოდენობა ჩვენი ტერიტორიის აზიურ ნაწილში შემცირდება ას საბრძოლო ქობინამდე იმ გაგებით, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს შეეძლება თავის ეროვნულ ტერიტორიაზე დატოვოს საშუალო სიშორის რაკეტების ამდენივე რაოდენობის საბრძოლო ქობინი.

როგორც კი ხელს მოვაწერთ ევროპაში საშუალო სიშორის საბჭოთა და ამერიკული რაკეტების ლიკვიდაციის შეთანხმებას, სსრ კავშირი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკიდან ამ ქვეყნების მთავრობებთან შეთანხმებით გამოიყვანს გადიდებული სიშორის ოპერატიულ-ტაქტიკურ რაკეტებს, რომლებიც იქ განლაგდა როგორც დასავლეთ ევროპაში „პერშინგ-2“ და ფრთოსანი რაკეტების განლაგების საპასუხო ღონისძიება. რაც შეეხება ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების სხვა რაკეტებს, მზად ვართ მაშინვე შეეუღლეთ მოლაპარაკებას მათი შემცირებისა და სრული ლიკვიდაციის მიზნით.

ამრიგად, არის რეალური შესაძლებლობა შემჭიდროვებულ ვადებში გავთავისუფლოთ ჩვენი საერთო ეროვნული სახლი ბირთვული ტვირთის მნიშვნელოვანი წილისაგან. ეს იქნება ბირთვული შეიარაღებისაგან ევროპის სრული განთავისუფლებისაკენ გადადგმული რეალური და დიდი ნაბიჯი. ჩვენს წინადადებებს ვდებთ ევროპაში ამერიკის შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკების მაგიდაზე.

არაერთხელ უცდიათ დაეერწმუნებინეთ, რომ, თუ სსრ კავშირი რეიკიავიკის პაკეტიდან გამოიყოს საშუალო სიშორის რაკეტების საკითხს, ძნელი აღარ იქნება ევროპაში მათი ლიკვიდაციის შესახებ მორიგება. ახლა იქმნება ამის საქმით დამტკიცების კარგი შესაძლებლობა. ამას ელიან ევროპელები, სხვა კონტინენტების ხალხები, ამას მოითხოვს აწმყოსა და მერმისის ინტერესები.

გამოყოფს რა ახლა ევროპაში საშუალო სიშორის რაკეტების პრობლემას, საბჭოთა მთავრობა კვლავ ფრიად მნიშვნელოვან საქმედ მიიჩნევს სტრატეგიული შეიარაღების არსებითი შეზღუდვის, შემდეგ კი ლიკვიდაციის შესახებ შეთანხმების მიღწევას. რა თქმა უნდა, ასეთი შეთანხმების დადება, როგორც ეს არაერთგზის აღნიშნულა, განსაზღვრული უნდა იყოს კოსმოსში იარაღის განლაგების დაუშვებლობის შესახებ გადაწყვეტილებით ამ საკითხების ორგანული ურთიერთკავშირის გამო.

საბჭოთა კავშირი კვლავ ცხადყოფს თავის ნებას — მეელი სიძნელეებისა და ხელოვნური დაბრკოლებების მიუხედავად გადაჭრას ბირთვული განიარაღების პრობლემა. ახალი აზროვნება ნიშნავს უნარს ყურად იღო საზოგადოებრიობის, ევროპისა და მსოფლიოს საზოგადოებრიობის ხმა, გიგო სხვა ხალხების საზრუნაი და ინტერესები, საკუთარი უშიშროება არ განაცალკევო მეზობლების უშიშროებისაგან ჩვენს ურთიერთდაკავშირებულ მსოფლიოში.

ისტორიული შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ! ველით სწრაფ, დადებითს პასუხს.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების საქმიანობის შემდგომი სრულყოფისა და სახალხო მეურნეობაში კანონიერებისა და სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებაში მათი როლის გაძლიერების შესახებ

ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების განხორციელება, მეურნეობრიობის ახალი მეთოდების აქტიური დანერგვა და ეფექტიანი გამოყენება, საწარმოებისა და ორგანიზაციების დამოუკიდებლობის გაფართოება, პასუხისმგებლობის, ინიციატივისა და სოციალისტური გერგილიანობის გაზრდა მოითხოვს სამეურნეო ურთიერთობაში კანონიერების განმტკიცებას. ამ პირობებში სულ უფრო იზრდება სამეურნეო ხელშეკრულებების, მათი უფუო შესრულების მნიშვნელობა.

ამასთან ეკონომიკის მთელ რიგ დარგებში არცთუ ცოტაა იმის ფაქტები, რომ ირღვევა საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეოანგარიშებრივი უფლებები და ინტერესები. სერიოზული ნაკლოვანებანია ხელშეკრულებათა დადების პრაქტიკაში. მრავალი საწარმო და ორგანიზაცია ჯერ კიდევ ვერ ასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს. სამეურნეო ხელშეკრულებებს საკმარისად არ იყენებენ წარმოების გეგმების ფორმირებაზე მომხმარებელთა გავლენის გასაძლიერებლად, პროდუქციის ხარისხისა და ტექნიკური დონის გასაუმჯობესებლად, მისი ასორტიმენტის გასაფართოებლად. სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებისა და შესრულების საკითხებზე სამინისტროებისა და უწყებების ნორმატიული აქტები ხშირად ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

კანონიერების აღნიშნულ დარღვევათა და ნაკლოვანებათა თავიდან აცილებასა და აღმოფხვრაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებმა. მაგრამ ისინი ჯერ კიდევ ვერ ავლენენ სათანადო ინიციატივასა და სიმტკიცეს ამ საქმეში, სუსტად ზემოქმედებენ საწარმოებსა და ორგანიზაციებზე საგეგმო დავალებათა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების მიზნით, საკრძნობ გავლენას არ ახდენენ სამეურნეო ხელშეკრულებათა დადებისათვის მუშაობის მდგომარეობაზე.

იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს კანონიერება სამეურნეო ურთიერთობაში, გაძლიერდეს ამ საქმეში სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა, . სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟს, მის კოლეგიას დაავალეს გარდაქმნან სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების მუშაობა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, მიიღონ საჭირო ზომები, რათა დახვეწონ მათი საქმიანობის სტილი და მეთოდები, გაზზარდონ კადრების პასუხისმგებლობა, მნიშვნელოვნად გააძლიერონ გავლენა სახალხო მეურნეობაში კანონიერების, საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებაზე. განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების, მართვისა და მეურნეობრიობის ეკონომიკური მეთოდების გაძლიერების პირობებში საწარმოთა და ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების განუხრელ უზრუნველყოფას.

ამ მიზნით სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებმა სრულად უნდა გამოიყენონ მათთვის მინიჭებული უფლებანი, რათა უზრუნველყონ კანონიერება, მაღალხარისხოვნად გადაწყვიტონ სამეურნეო დავა და განმტკიცონ სახელშეკრულებო დისციპლინა, ამასთან არ დაუშვან ოპერატიულ საქმიანობაში სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ჩარევა; გაზარდონ გამამფრთხილებელი მუშაობის ეფექტიანობა; გაუმჯობესონ მისი კოორდინაცია სხვა სამართალდაცვითი და მაკონტროლებელი ორგანოების მუშობასთან და მიაღწონ სამართალდარღვევათა გამომწვევი მიზეზებისა და პირობების ლიკვიდაციას; გაიფართოონ ურთიერთობა საწარმოთა და ორგანიზაციათა შრომითს კოლექტივებთან, რათა გააძლიერონ ბრძოლა სახელშეკრულებო ვალდებულებათა უფუო შესრულებისათვის და გაზარდონ ამ საქმეში თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა, აგრეთვე უზრუნველყონ უშუალოდ საწარმოებსა და ორგანიზაციებში საარბიტრაჟო საქმეთა განხილვის ჯეროვანი აღმზრდელობითი მნიშვნელობა; უფრო პრინციპულად დაადგინონ საკითხები იმის შესახებ, რომ პასუხისგებაში მიეცეს ბრალეულნი საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევებისათვის, არბიტრაჟამდე დავის დაუსაბუთებელი მიყვანისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საჭიროდ ცნეს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი გარდაიქმნას სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟად, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟები — მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო არბიტრაჟებად; სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საქალაქო საბჭოების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სა-

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

აკადემიკოს ა. გ. შანიძისათვის შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის მინიჭების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის შოთა რუსთაველის ს

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

ხალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟები — მხარეების, ოლქების, ქალაქების, ავტონომიური ოლქების და ავტონომიური ოკრუგების სახელმწიფო არბიტრაჟებად.

გაფართოვდა სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების უფლებამოსილება მეურნეობრიობის ახალი პირობების სამართლებრივ უზრუნველყოფაში, კანონიერებისა და სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებაში.

მათ მიენიჭათ უფლება:

შეამოწმონ როგორ სრულდება საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში კანონმდებლობის მოთხოვნები ხელშეკრულებათა დადების, ვალდებულებათა შესრულების, დაშვებული დარღვევებისათვის ქონებრივი სანქციების გამოყენებისა და სამეურნეო დავის არბიტრაჟამდელი მოწესრიგების საკითხებზე, ხოლო სამინისტროებსა და უწყებებში — ამ მუშაობის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის პრაქტიკა; მიიღონ სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისგან მათთან არსებული ხელშეკრულებათა დადებისა და შესრულების დაწესებული ანგარიშგებლობის მონაცემები; მოისმინონ თანამდებობის პირთა ინფორმაციები, თუ რა ღონისძიებებს აბორიგელებენ ხელშეკრულებათა დადებისა და ვალდებულებათა შესრულებისათვის მუშაობაში კანონმდებლობის დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

მისცენ საწარმოებს, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებს ხელმძღვანელებსა და სხვა თანამდებობის პირებს შესასრულებლად სავალდებულო მიწერილობანი ხელშეკრულებების დადებისა და სამეურნეო დავის არბიტრაჟამდელი მოწესრიგების წესის შესახებ კანონმდებლობის დარღვევათა აღმოფხვრის, აგრეთვე სამეურნეო სანქციებისა და ეკონომიკური სანქციების ბრალეულთა მათს პროფესიულ მომზადებას, განსაკუთრებით ეკონომიკისა და მართვისა და მეურნეობრიობის თანამედროვე მეთოდების დარგში.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ უზრუნველყონ, რომ საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები განუხრელად იცავდნენ კანონებს სამეურნეო სამართლებლობაში, თავიანთ ტერიტორიაზე, გააძლიერონ სამართალი კავშირი და თანამოქმედება სახელმწიფო არბიტრაჟებსა და სამეურნეო ხელმძღვანელობის ორგანოებს შორის, რათა განმტკიცდეს საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინა, საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობა, დაიცვან მათი უფლებები და კანონიერი ინტერესები. რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა საბჭოთა ორგანოებმა ამისათვის უფრო ფართოდ უნდა გამოიყენონ საწარმოთა ეკონომიკური და იურიდიული სამსახურები, უწყებრივი და სახალხო კონტროლის შესაძლებლობანი, პერიოდულად გაიტანონ საბჭოებს სესიებისა და მათი მუდმივი კომისიების განსახილველად ანგარიშები და თავიანთ სხდომებზე მოისმინონ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების ხელმძღვანელთა ინფორმაციები სამეურნეო ურთიერთობაში კანონიერების მდგომარეობისა და მისი განმტკიცებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ, ამასთან არბიტრაჟის საქმიანობა მიჩნეონ წარმოების ეფექტიანობის ზრდაზე ზემოქმედების მნიშვნელოვან საშუალად, განაზორციელონ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების მატერიალურ-ტექნიკური, სტარანსპორტო უზრუნველყოფისა და განლაგების, აგრეთვე მათი მუშაკების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებანი.

სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებისგან მიღებული მასალების საფუძველზე შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა გააძლიერონ ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ კანონების დარღვევების, უუაირათობისა და მფლანგველობის, უხარისხო პროდუქციის ,გამოშვების, წამატებების, სამეურნეო საქმიანობაში კანონიერების სხვა დარღვევათა წინააღმდეგ, მიაწოდონ ინფორმაცია განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს, მიიღონ ზომები არბიტრაჟამდე სამეურნეო დავის დაუსაბუთებელი მიყენების შეწყვეტისათვის, არ დაუშვან დავის დამოუკიდებელი გადაწყვეტისათვის სამეურნეო ხელმძღვანელთა თავის არიდება ხელშეკრულებათა დადებისა და შესრულების და დავის არბიტრაჟამდელი მოწესრიგების დროს და ვაჭრობის გამოვლინებანი.

სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის, სსრ კავშირის პროკურატურის, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოსა და სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის წინაშე დასახული ამოცანა გაუმჯობესონ საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევათა სამართლებრივი საშუალებით თავიდან აცილების, აღკვეთისა და აღმოფხვრისათვის ერთობლივი მუშაობის კოორდინაცია და გაზარდონ მისი ეფექტიანობა.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო კომიტეტებმა, ზაზგასმითა დადგენილებაში, უნდა გააძლიერონ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობა, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ სახელმწიფო არბიტრაჟმა, ისევე როგორც სხვა სამართალდაცვითმა — სასამართლომ, პროკურატურამ, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა ორგანოებმა, უნდა გადაწყვეტოს სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, გარდაქმნის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების მნიშვნელოვანი ამოცანები.

უნდა გაიზარდოს მომთხოვნელობა სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებისადმი, მათი ხელმძღვანელებისა და პარტიული ორგანიზაციებისადმი სამეურნეო მეჩანიზმის სრულყოფის შესახებ პარტიის გეგმების რეალიზაციაში, საწარმოებისა და ორგანიზაციების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში, სამეურნეო საქმიანობაში სამართალდარღვევათა თავიდან აცილებაში პრაქტიკული მონაწილეობისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოითხოვეს უფრო მეტვალრეაგირება მოახდინონ უყაირათობისა და ბიუროკრატიზმის, კუთხურობისა და უწყებრიობის გამოვლინების, სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევებისა და სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების მიერ გამოვლენილ სხვა მართლსაწინააღმდეგო მოქმედების ფაქტებზე, მკაცრად მოჰკითხონ სამეურნეო ხელმძღვანელებსა და სხვა თანამდებობის პირთ, რომლებიც დროულ ღონისძიებებს არ აბორიგელებენ კანონიერების ასეთ დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

მ. ს. გორბაჩოვი ესაუბრა ჯულიო ანდრეოტის

(დასასრული)

მიმდინარეობს რთული პროცესი — იმის გაგებიდან, თუ როგორი პოლიტიკა სჭირდება თანამედროვე მსოფლიოს, თვით ასეთი პოლიტიკის შემუშავებისაკენ. ახლა ჩვენ სწორედ ამ ეტაპზე ვიმყოფებით. ამტომ ერთმანეთის სურვილები უნდა გავითვალისწინოთ. სსრ კავშირი მზად არის ითანამშრომლოს დასავლეთთან ინტერესთა უკეთესი ბალანსის ძიებისათვის.

ამ კონტექსტით თანამოსაუბრეებმა მაღალი შეფასება მისცეს „უბირთვო მსოფლიოსთვის, კაცობრიობის გადარჩენისთვის“ ფორუმს, რომელიც მოსკოვში გაიმართა. შეთანხმდნენ იმაშიც, რომ ჯერ კიდევ უნდა გაიგოს მთელი მნიშვნელობა იმისა, რაც მოხდა— რა მოვლენა იყო ეს და რა უნდა მოჰყვეს მას.

ჯ. ანდრეოტიმ აღნიშნა: მთელ თავის საქმიანობას უკავშირებს რწმენას, რომ მსოფლიო უფრო ბრძენი უნდა გახდეს. კერძოდ, ამიტომაც მიესალმება იგი იმას, რაც ახლა ხდება საბჭოთა კავშირში, და რაც, თქვა მან, „უაღრესად მნიშვნელოვანია ყველა ჩვენგანისათვის“.

საუბარში დიდი ყურადღება დაეთმო საბჭოთა კავშირ-ამერიკის ყენევის მოლაპარაკებას. თანამოსაუბრენი დაეთანხმნენ ერთმანეთს, რომ შეერთებულ შტატებში არიან გავლენიანი ძალები, რომლებსაც სურთ შედეგიანი მოლაპარაკება, მორიგებათა მიღწევა.

მ. ს. გორბაჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის მოგვარებას. იგი მხარს უჭერს კონტაქტების განვითარებას, განიარაღების თაობაზე მოლაპარაკების, მაგრამ არა ფორმალური, არამედ არსებითი მოლაპარაკების განგრძობას. მაგრამ არ ჩანს ადეკვატური საპასუხო რეაგირება. ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობა რეკიავიკიდან უკან იხევს და საქმე უკვე ისეთ მიჯნამდე მიიყვანა, როცა სათუო გახდა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულება, რომელსაც ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს. ხელშეკრულების „განვრცობითი გაგება“ ჩვეულებრივ უმნიშვნელო ელემენტი როდია მოლაპარაკების დროს. ეს პრინციპული რამ არის.

ყველაზე მთავარი ახლანდელ მომენტში ის არის, განაცხადა ამასთან დაკავშირებით მ. ს. გორბაჩოვმა, რომ არ დავანებთო რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების მოშლა, თორემ გაუფასურდება მოლაპარაკება, გამალებული შეიარაღება აღარ დაექვემდებარება კონტროლს, არასტაბილურობა კრიზისული გახდება, გაძლიერდება ეჭვი და უნდობლობა. ეს ლაბვარს ჩასცემს აღმოსავლეთ-დასავლეთის პოლიტიკურ დიალოგს, რომელიც ესეს არის იკრძის ძალას, და მძიმე ფსიქოლოგიურ შედეგებს მოუტანს მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობას. დაიჩრდილება ყველაფერი. ერთი სიტყვით, ეს უდიდესი პოლიტიკური შეცდომა იქნება.

სსრ კავშირი თავის მხრივ ყველაფერს იღონებს, რათა გამორიცხოს ასეთი შემბრუნება. მაგრამ ყველას უნდა ესმოდეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ საკითხს. ჯ. ანდრეოტიმ განაცხადა, რომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებაზე უარის თქმის გაზრახვას არ იზიარებენ არც იტალიაში, არც დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში.

ჩვენ განვიხილეთ ევროპაში სხვადასხვა კლასის ბირთვული იარაღის, აგრეთვე ჩვეულებრივი იარაღისა და შეიარაღებული ძალების ლიკვიდაციისა და შემცირების პრობლემები, ამავე დროს, როგორც ჯ. ანდრეოტიმ თქვა, უნდა გავერკვეთ, რა არის პრობლიცია. მ. ს. გორბაჩოვი გულისხმიერად მოეკიდა თანამოსაუბრის მოსაზრებებს.

ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲛᲜᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ-ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐᲨᲘ

(დასასრული)

ვითარებას, როცა დიდი სიჩქარით მომუშავე კონვეიერები ამრავლებენ წუნს, მუშაობენ არა მომჯნავეებისათვის, არა სავაჭრო დახლებისათვის, არამედ საწყობისათვის.

ეს თქვეს იაროსლავლის სალტეების ქარხნის საბურავების ამწყობმა, სოციალისტური შრომის გმირმა **ვ. ვ. კუზმინიკმა,** საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ **მ. ვ. იხარლოვამ,** მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ **ა. მ. იაკოვლევამ.**

საზოგადოებრივი წარმოების სრულყოფა, დელეგატების აზრით, გულისხმობს პრობლემათა მთელი კომპლექსის გადაჭრას, რასაც პროფკავშირებმა შრომითი კოლექტივების ძირითადი მეცადინეობა უნდა მოახმარონ.

პარტიამ სოციალური სფერო ჩვენი საზოგადოების განვითარების პრიორიტეტულ სფეროდ განსაზღვრა. ამიტომ არის, რომ ყრილობის დელეგატებმა უმთავრესი ყურადღება დაუთმეს იმ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა მკვეთრად დაჩქარებს ბინებისა და სოციალურ-კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის ტემპს, პირობებს შეუქმნის სამედიცინო მომსახურების, განათლების, კულტურის სრულყოფას, საყოფაცხოვრებო სამსახურის, ტრანსპორტის განვითარებას, სპორტული ნაგებობებისა და დასასვენებელი ბაზების ქსელის გაფართოებას.

ამ საკითხების განხილვას მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები დელეგატებმა — რსფსრ სახალხო არტისტმა **ი. დ. კოზლოვმა,** ყირგიზეთის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ **ე. აბაკიროვმა,** რუსეთის სფსრ სახალხო არტისტმა, სსრ კავშირის აკადემიური მცირე თეატრის მსახიობმა **ი. მ. სოლომინმა.**

სერიოზული ნაკლოვანებები აღინიშნა, კერძოდ, მსუბუქი მრეწველობის საქმიანობაში. მაგრამ შეშფოთებას იწვევს პირობები, რომლებშიც თვით დარგის მუშაკები იმყოფებიან. დარგის მილიონზე მეტი მშრომელი საჭიროებს ბინას. ამ მიზეზით ბოლო ექვს წელიწადში მუშახელის კლებამ აქ 200 ათასი კაცი შეადგინა.

ახლა დიდი ღონისძიებები ხორციელდება მსუბუქ მრეწველობაში სოციალური სფეროს განვითარებისათვის: მნიშვნელოვნად გადიდდა კაპიტალდაბანდებანი, გაიზარდა ბინების, სბაგშვო ბაღების, პიონერთა ბანაკების, სანატორიუმ-პროფილაქტორიუმების მშენებლობის სახსრები. წლის დამდეგიდან დაიწყო მუშაობა საწარმოების გადასაყვანად შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე.

იმ პერიოდში, როცა გაჩაღდა ბრძოლა სოციალურ-კულტურული პროგრესისა და ჯანსაღი ყოფისათვის, აღინიშნა ყრილობაზე, გარდაქმნას გვერდზე ვერც ხელოვნება განუდგება. მისი როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა. დიდი და ძალზე სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლიათ პროფკავშირებს. უნდა ვეცადოთ იმას, რომ ყველა კულტურის სასახლეში, თუნდაც ყველაზე პატარა კლუბში სიობომ და სიმყუდროვემ დასადგეროს.

მოსახლეობის კულტურულ მომსახურებაში საგრძნობი წვლილი შეაქვთ საკონცერტო ორგანიზაციებს, რომლებიც 40 ათას შემსრულებელს აერთიანებენ. ამ ორგანიზაციებმა დიდი გამოცდილება შეიძინეს. მაგრამ აქ სერიოზული პრობლემებიც არის გადასაჭრელი. ყრილობაზე გამოითქვა წინადადება საკონცერტო შემსრულებელთა შემოქმედებითი კავშირის შექმნის თაობაზე.

გარდაქმნა ძლიერია მასების ცოცხალი შემოქმედებით, საქმიანად საერთო დაინტერესებით. მიღიონობით მშრომელისათვის იგი ვლინდება სოციალისტური შეჯიბრებით. მისი სრულყოფის პრობლემები ნიადაგ იყო პროფკავშირული ფორუმის დელეგატთა ყურადღების ცენტრში.

ტაჯიკეთის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ **ა. დადაბაევმა,** სვერდლოვსკის ოლქის ფ. ა. მერკულოვის სახელობის სევერსკის მილის ქარხნის პროფკომის თავმჯდომარემ **ი. გ. ვარლამოვმა,** სომხეთის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ **მ. კ. არუთინიანმა,** თურქმენეთის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ **ო. ი. შაკულიევამ** აღნიშნეს, რომ მიზანმიმართულად და გაბედულად უნდა ვეებრძოთ შრომითი მეტოქეობის ახალი ფორმები, რომლებიც შეესაბამებიან ჩვენი საზოგადოების რევოლუციური განახლების ამოცანებს.

მწვავედ გააკრიტიკეს ის პროფკავშირული მუშაკები, რომლებიც ცხოვრების მოთხოვნების მიუხედავად, ებღაუჭებიან ჩვეულ სქემებს, არ ჩქარობენ გაუმჯობესონ თავიანთი საქმიანობა. თურქმენეთში, მაგალითად, შეჯიბრების გამარჯვებული ხშირად „გამოჭყავდათ“ ყოველგვარი ცნობებისა და მოწმობების საფუძველზე. მოისურვებენ ადამიანები უსწორდნენ ასეთ „ლიდერებს?“ აღინიშნა, რომ საკავშირო პროფსაბჭო, დარგობრივი პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტები გატაცებული არიან ინიციატივების მოგონებით. შეიქმნა მათი „გამოგონების“ თავისებური კონკურსი. ცოცხალ პრაქტიკაში მათ ცოტა რამ შეაქვთ, პროფკავშირულ აქტივს კი აცდენენ ყოველდღიური მუშაობისაგან.

იაზროვნოს და იმოქმედოს ახლებურად — ამას ესწრაფვის დღეს მთელი საბჭოთა ხალხი. გაცხარებული გარდაქმნის დღეებში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ახალგაზრდობას. ძალუმად და გულდაჯერებით გაისმის მისი ხმა პროფკავშირთა ყრილობაზე. ზღვისპირეთის მხარის ქალაქ ნახოდკის დამკვრელური კომკავშირული მშენებლობის შტაბის უფროსმა **ვ. მ. ხოდორევმა,** დნეპროპეტროვსკის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტმა **ნ. ნ. ბონდარენკომ,** საწარმოო გაერთიანება „კურგანავტოტრანსის“ მძღოლმა ბრიგადირმა **ა. ა. გურაშოვმა,** ლიტვის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ა. ფერენსასმა,** კრასნოიარსკის პროფკავშირთა სამხარეო საბჭოს თავმჯდომარემ **ვ. პ. ტოლიუპამ** აღძრეს საბჭოთა ხალხის რევოლუციური, შრომითი და საბრძოლო ტრადიციებით ჩვენი მუშათა ცვლის აღზრდის ძირეული საკითხები.

პლენარულ სხდომებთან ერთად, რომლებზეც იხილავენ საკავშირო პროფსაბჭოსა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებებს, 27 თებერვალს დაიწყო მუშაობა სექციებში.

სექციათა მუშაობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა **კ. ტურისოვმა.** პროფკავშირთა საქმიანობის კონკრეტული მიმართულებანი, თქვა მან, განვიხილეთ ექვს სექციაში: პროფკავშირთა საწარმოო-ეკონომიკური მუშაობის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე მისი ზემოქმედების გაძლიერების, შრომის დაცვის, შრომელთა სახელმწიფოო სოციალური დაზღვევისა და კანმრთელობის დაცვის, საბინაო პრობლემის გადაჭრის დაჩქარებაში პროფკავშირთა მონაწილეობისა და შრომელთა სავაჭრო-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების, პროფკავშირთა აღმზრდელობითი მუშაობისა და შრომელთა დასვენების ორგანიზაციის, სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა მიხედვით სოციალისტური თვითმმართველობის განვითარებისა და პროფკავშირთა ორგანიზატორული მუშაობის სტილისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის სექციებში.

სექციათა მუშაობაში მონაწილეობდა დაახლოებით 1.200 დელეგატი, კამათში გამოვიდა 154 კაცი.

ყრილობამ მიიღო დადგენილება, რომლითაც რეკომენდებულია სექციათა მიერ შემუშავებული წინადადებანი გამოიყენონ საკავშირო პროფსაბჭოს პრაქტიკულ საქმიანობაში.

საზღვარგარეთელმა ორატორებმა მოუწოდეს მსოფლიოს ყველა მშრომელს აქტიურად დაუჭიროონ მხარი საბჭოთა სამშვიდობო წინადადებებს. დიდად აფასებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მნიშვნელობას, სტუმრებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მისი გადაწყვეტილებანი გზის მანათობელი შუქურა გახდება სსრ კავშირის პროფკავშირთა საქმიანობაში.

28 თებერვალს, ყრილობის მუშაობის სამოლო დღეს, დამთავრდა საკავშირო პროფსაბჭოს და ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშების განხილვა.

დელეგატებმა და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **ჰ. ა. ალიევს, ვ. ი. ვორობიოვს, ლ. ნ. ზაიკოვს, ი. კ. ლიგაჩოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, პ. ნ. დემიჩევს. ვ. ი. დოლგიხს, ბ. ნ. ელცინს, ა. ნ. იაკოვლევს, ნ. ნ. სლიუნკოვს, ს. ლ. სოკოლოვს, ი. ფ. სოლოვიოვს, ნ. ვ. ტალიზინს, ა. პ. ბირიუკოვს, ა. ი. ლუკიანოვს, ვ. პ. ნიკონოვს, გ. პ. რაზუმოვსკის.**

ესტონეთის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **მ. ა, პედაკი** და ჩერკასის ოლქის ჩერნობაილ რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ა. ა. მირონენკო** შეუერთდნენ წინა ორატორთა წინადადებას და მოიწონეს საანგარიშო პერიოდში საკავშირო პროფსაბჭოს საქმიანობა.

ყრილობას მიეცალმნენ სირიის მუშათა პროფკავშირების საყოველთაო ფედერაციის საგარეო ურთიერთობის მდივანი **მ. ისა,** ნიკარაგუის მშრომელთა სანდინისტური პროფცენტრის გენერალური მდივანი **ლ. ხიმენესი.** მათ აღინიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა პროფკავშირების როლს საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის რიგებში, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის საქმეში.

სტუმრებმა თქვეს, რომ ყრილობაზე მ. ს. გორბაჩოვის მიერ წარმოთქმული სიტყვა იდეებისა და აზრების წყაროო გახდება არა მარტო სსრ კავშირის პროფკავშირებისათვის, არამედ პლანეტის ყველა მშრომელის, ყველა პატიოსანი ადამიანისათვის.

ამით დამთავრდა საკავშირო პროფსაბჭოს და ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებების განხილვა. პლენარულ სხდომებზე საანგარიშო მოხსენებების გამო გამოვიდა 57, სექციების სხდომებზე — 154 დელეგატი.

ყრილობამ მოიწონა პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს მუშაობა საანგარიშო პერიოდში.

დამტკიცდა ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.

სსრ კავშირის პროფკავშირთა XVIII ყრილობის რეზოლუციის პროექტის შემუშავების თაობაზე კომისიისაგან წინადადებები წამოაყენა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა **ვ. ნ. მაკეევმა.** წარმოდგენილი პროექტი, თქვა მან, ითვალისწინებს დებულებებსა და დასკვნებს პროფესიული კავშირების საქმიანობის ყველა მიმართულების მიხედვით, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის სიტყვაში ყრილობაზე.

ყრილობის დელეგატები ერთხმად იღებენ ყრილობის რეზოლუციას შეტანილი გასწორებებით და ცვლილებებითურთ.

ყრილობამ საკავშირო პროფსაბჭოს, პროფკავშირების საბჭოებსა და კომიტეტებს, პირველადს პროფკავშირულ ორგანიზაციებს დაავალა თავის საქმიანობას საფუძვლად დაუდონ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა ბეჭითი და თანამიმდევრული განხორციელება, ჩაბან პროფკავშირების ყველა წევრი, ყოველი შრომელი საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის.

ყრილობამ ყველა მუშას, კოლმეურნეს, ინჟინერ-ტექნიკურ, მეცნიერ მუშაკს, სპეციალისტსა და მოსამსახურეს მოუწოდა უფრო აქტიურად ჩაებან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, 1987 წლის გეგმის წარმატებული შესრულებისათვის გაწეული საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში, აქტიურად დაუჭირონ მხარი მოწინავე კოლექტივების, წარმოების ნოვატორების ინიციატივას, რომელთა მიზანია დიდი ოქტომბრის იუბილესათვის შესასრულონ ხუთწლედის ორი წლის დავალებანი.

ყრილობამ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვა, რომ საბჭოთა პროფკავშირები კომუნისტთა ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ქვეყნის, თანამედროვე მსოფლიოს ცხოვრების მკვეთრი გარდატეხის ჟამს განუხრელად იხელმძღვანელებენ სკკპ XXVII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, მშვიდობისა და აღმშენებლობის მისი შთამაგონებელი იდეებით, მოწოდებით, რომ გაბედულად იარონ წინ, მთელი ძალ-ღონე მოახმარონ კომუნისტური მშენებლობის დიდ საქმეს.

წინადადებები სსრ კავშირის პროფკავშირთა წესდებაში შეტანილი ცვლილებების შესახებ წარმოადგინა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა **ვ. პ. პროვოტორუმა.** წესდების პროექტის განხილვის დროს, თქვა მან, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა და საკავშირო პროფსაბჭომ ორი ათასზე მეტი წინადადება მიიღეს. ეს წინადადებები უყურადღებით იქნა განხილული და მათი გათვალისწინებით პროექტში ორასამდე შეწორება და დამატება შევიდა. თავის გამოსვლებში ყრილობაზე დელეგატებმა მთლიანად მოიწონეს წესდების პროექტი.

ყრილობამ მიიღო დადგენილება სსრ კავშირის პროფკავშირთა წესდების ცვლილებათა შესახებ. ეგ ერთხმად დაამტკიცა წესდება მასში შეტანილი ცვლილებებითურთ.

დამტკიცდა დებულება სსრ კავშირის პროფკავშირთა ცენტრალური სარევიზიო კომისიის შესახებ.

დელეგატებს აცნობეს, რომ XVIII ყრილობას მოუვიდა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, მოსამსახურეების, კოლმეურნეების, ომისა და შრომის ვეტერანების, მოსწავლეებისა და ახალგაზრდობის 20 ათასზე მეტი წერილი.

გამოგზავნილ ყველა წერილს ყრილობის სამდივნო უპირველესად განიხილავდა.

დელეგატებმა მიიღეს დადგენილება პროფკავშირთა ყრილობისათვის გამოგზავნილ მშრომელთა წერილების შესახებ. ამ დოკუმენტში ცნობად არის მიღებული სამდივნოს ცნობა მშრომელთა წერილების განსახილველად გაწეული მუშაობის შესახებ. საკავშირო პროფსაბჭოს დაევალა პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტებთან და საბჭოებთან ერთად დაასრულოს მუშაობა წერილების განხილვისათვის, განახორციელოს ყველა ღონისძიება მიმართულებით ქალაქებთა მიმართვებში გამოთქმული თხოვნების, წინადადებების, შენიშვნების სარეალიზაციოდ.

ყრილობაზე გაიმართა საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის პროფკავშირთა ცენტრალური სარევიზიო კომისიის არჩევნები. დელეგატები შეუდგნენ კანდიდატურების დასახელებას. შემდეგ გაიმართა ფარული კენჭისყრა.

ყრილობის საბოლოო სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია ხელმძღვანელი ოგანოების არჩევნების შედეგების შესახებ.

საკავშირო პროფსაბჭოს საორგანიზაციო პლენუმზე საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ს. ა. შალაევი. არჩეული იქნან საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მდივნები და პრეზიდიუმის წევრები.

შემდეგ ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა **ს. ა. შალაევმა.**

ყრილობის მთელი მუშაობა, თქვა მან, გამსჭვალული იყო ჩვენი დროების — ძნელი, გარდამტეხი, მაგრამ, როგორც ყრილობაზე აღინიშნა, უჩვეულოდ საინტერესო და შთამაგონებელი დროების, განახლებისა და გარდაქმნის დროების სულისკვეთებით. ყრილობამ ცხადყო, რომ ქვეყნის ყველა მშრომელს ღრმად ესმის მომენტის პასუხისმგებლობა. დასახული დაჩქარების გეგმების წარმატებით შესრულების მნიშვნელობა, იმის აუცილებლობა, რომ უფრო თამამად და მტკიცედ გაანალიზოთ და განვავითაროთ ქვეყანაში დაწყებული ღრმა გარდაქმნების პროცესი.

გამოხატა რა ქვეყნის 140 მილიონი მშრომელის — პროფკავშირის წევრების ნება, ყრილობამ დამჯერებლად დაადასტურა, რომ კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს შეუძლიათ სრულად დაეხდონ და მტკიცედ დაეყრდნონ საბჭოთა პროფკავშირებს, რომელიც განუყოფლად უჭერს მხარს სკკკპ XXVII ყრილობაზე შემუშავებულ სტრატეგიულ კურსს.

ყრილობამ ჩაიარა პროფკავშირთა საქმიანობის კრიტიკული, გულახდილი, პრინციპული შეფასების, სამერმისო ამოცანების კონკრეტული და საქმიანი განსაზღვრის ვითარებაში. ყრილობის მუშაობას ასეთი განწყობა მიანიჭეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, საპროგრამო სიტყვამ, პროფკავშირთა ყრილობაზე რომ წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

მისი სიტყვა გამსჭვალული იყო იმისათვის უდიდესი ზრუნვით, რომ პროფესიული კავშირები მუდამ იყვნენ გარდაქმნის პირველ ეშელონში, აღარ ჩამორჩებოდნენ ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებს, ეკავოთ საზოგადოებაში აქტიური პოზიცია, მტკიცედ ადგნენ მშრომელთა ინტერესების დაცვის გზზე. ეს არის მთელი ჩვენი მუშაობის უდიდესი მხარდაჭერა, თითოეული პროფკავშირული ორგანიზაციის, ყოველი პროფკავშირული მუშაკისა და აქტივისტის სამოქმედო სახელმძღვანელო.

ყრილობაზე გაიმართა ფართო აზრთა გაზიარება პროფკავშირთა საქმიანობის ყველა საკითხზე. მან დასახა ზუსტი მიმართულებანი, თუ როგორ უნდა წარიმართოს პროფკავშირთა მუშაობის გარდაქმნა ეკონომიკის, სოციალურ-კულტურული სფეროს, მუშაობის სტილისა და მეთოდების ჭეშმარიტად რევოლუციური ცვლილებების პირობებში, საზოგადოების თანამიმდევრული დემოკრატიზაციის ვითარებაში.

სოციალიზმის საზოგადოებრივი პრაქტიკა ნიადაგ ფართოვდება, ახალი შინაარსით ამდიდრებს საბჭოთა პროფკავშირების როლის ლენინისეულ განსაზღვრებას. მაგრამ როგორც ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა ახლანდელმა ყრილობამ, უცვლელი რჩება მისი დედაარსი — იყოს მეურნეობრიობისა და აღზრდის სკოლა, მასების შემოქმედებითი აქტიურობის განვითარებისა და ამაღლების სკოლა, ხოლო თანამედროვე პირობებში — სოციალისტური თვითმმართველობისა და უშუალო დემოკრატიის, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანის გადაწყვეტაში მასების პრაქტიკული ჩაბმის სკოლა.

ყრილობაზე გამართულმა დისკუსიამ დამაჯერებლად ცხადყო, რაოდენ საჭიროა, რომ პროფკავშირები რაც შეიძლება მალე დაეუფლონ საწარმოო-ეკონომიკური მუშაობის ახალ ფორმებს.

ყრილობამ მტკიცედ მოითხოვა გადაჭრით გაუმჯობესდეს სოციალისტური შეჯიბრებისა და მოწინავე საწარმოო გამოცდილების გავრცელების ორგანიზაცია.

შეეხო რა პროფკავშირთა მთელი საქმიანობის გარდაქმნას, ორატორმა ხაზგასმით აღნი

არავითარი შელავათი ავდრის გამო

სულ ახალ-ახალ „სიურპრიზებს“ გვიმზადებს ბუნება წლეულს. ამასწინანდელმა გრიგალმა, უნგმა თოვამ კვლავ გაართულა რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის მდგომარეობა. თოვლის სიმძიმეს ვერ გაუძლო და წაიქცა ელექტროგადამცემი ხაზის საყრდენი წალკის რაიონში. მაგრამ, ეფექტიან ღონისძიებათა მეოხებით, ამ რაიონის სოფლების ენერგომამარაგებაში შეფერხება ხანმოკლე იყო. ეს ითქვა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების წარმოებისა და მოხმარების პროცესების მართვის საკითხთა გადაწყვეტის ოპერატიული ჯგუფის მორიგ თათბირზე, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა.

დღის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ყოველმხრივი და საყოველთაო მომზადება წყალდიდობისათვის. რესპუბლიკის ენერგეტიკოსებმა დაიწყეს წყლის ინტენსიური ხარჯვა ენგურისა და ვინგალის ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავებში. ტენის მარაგი იქ იმ ოპტიმალურ მოცულობას მიუახლოვდა, რომელიც საჭიროა, რათა წყალდიდობამ გაურთულებლად ჩაიაროს.

მოსამზადებელი ღონისძიებანი განახორციელეს გაზის სახელმწიფო კომიტეტის სამსახურებმაც. მათ შეამოწმეს და მოაწესრიგეს ყველა მიწისქვეშა კომუნიკაცია. თითოეულს — ხელმძღვანელი იქნება თუ რიგითი მუშაკი — მოქმედების ზუსტი პროგრამა აქვს, თუ ვინაცობაა რაიმე გართულება მოხდეს.

გაზაფხულისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას ახლა განსაკუთრებით დასჭირდება დიდძალი ბიტუმი. წვიმითა და თოვლით გადარეცხილი გზები უნდა მოწესრიგდეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწყებისათვის. მაგრამ ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა ჩამორჩება ბიტუმის წარმოებაში. საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა აანაზღაუროს დანაკლისი, მთლიანად მისცეს საჭირო რაოდენობის ბიტუმი გზის რემონტის სამსახურეს.

უწინდებურად აქტუალურია საათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიური ხარჯვის საკითხები. მიმდინარე წლის დამდეგიდან ენერგოზოგადმეურნეობამ ამოავლინა და აღკვეთა მათი არარაციონალური ხარჯვის 500-მდე შემთხვევა.

თათბირზე გააანალიზეს „საქკურორტმშენის“ ტრესტის თბილისის ექსპერიმენტო კომბინატ „შენდეტალში“, ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში ელექტრული ენერგიის ხარჯების მდგომარეობა. აქ, კერძოდ, შემუშავებული არ არის პროდუქციის ერთეულზე ელექტრონერგიის ხარჯვის ზვედრითი ნორმები, შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ უქმად მუშაობდნენ ძალური ტრანსფორმატორები.

განხილული საკითხების გამო ოპერატიულმა ჯგუფმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

(საქინფორმი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაათავისუფლა ამხ. ალექსი მიხეილის ძე შკოლნიკოვი სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ **დანიშნა:**

ო. ა. მარგველაშვილი საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილედ და გათავისუფლა იგი საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან.



▼▼

საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1824“. თანამგზავრზე დაგმული აპარატება ნორმალურად მუშაობს და განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

▼▼

თბილისში დამთავრდა საქალაქო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის არქიტექტორების მიერ შექმნილი საქართველოს დედაქალაქის დასვენების ზონის კომპლექსური განვითარების პროექტის განხილვა. თბილისსა და რუსთავს შორის პარკის შექმნის იდეას ფართოდ დუჭირეს მხარი მეცნიერებმა, სპეციალისტ-პრაქტიკოსებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

სრულფასოვანი დასვენების პირობების გარდა, მომავალი პარკი ქალაქელებს კიდევ ბევრ სარგებლობას მოუტანს.

▼▼

ოჩამჩირეში გაიხსნა საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი, რომელიც მთელიანად დაკმაყოფილებს ადგილობრივი მოსახლეობისა და კურორტზე დასასვენებლად ჩამოსულთა მოთხოვნას საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე. ამ დიდ საწარმოში, რომელიც განგარიშებულია ასი სამუშაო ადგილისათვის, მოსახლეობას გაუწევენ ოცდაათზე მეტი სახეობის მომსახურებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

მუშაობა გარდაქმნას მოითხოვს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მოსთხოვა დაუყოვნებლივ განახორციელოს სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებთან მუშაობის ძირფესვიანი გარდაქმნის მტკიცე ღონისძიებანი. თავის მორიგ სხდომაზე მან განიხილა მართლმსაჯულების აღსრულებაში, მოსახლეობას შორის პროფილაქტიკურ-განმარტებითი, მუშაობის განხორციელებაში მათი აქტიურობის გაძლიერებისათვის ამ სამინისტროს საქმიანობის საკითხი.

პრინციპული, მომთხოვნელი სჯა-ბაასი გაიმართა. სახალხო მსაჯულებთან მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების ანალიზმა ცხადყო, რომ რესპუბლიკის სახალხო სასამართლოები მეტად ნელა იყენებენ ფართო შესაძლებლობებს სასამართლო საქმიანობის სრულყოფისა და მართლმსაჯულების აღმზრდელობითი როლის გაძლიერების საქმეში. უხეშად ირღვევა სასამართლოებში საქმეთა გარჩევისას სახალხო მსაჯულების მონაწილეობის კანონმდებლობით დადგენილი ვადები და რიგითობა. საკმარისი არ არის სასამართლო პროცესებზე მათი აქტიურობა. მრავალია ისეთი შემთხვევა, როცა პროცესზე გამოსვლისას ისინი წინასწარ არ არიან გაცნობილი საქმის მასალებს, რაც მკვეთრად აქვეითებს სასამართლო გარჩევების ხარისხსა და ეფექტიანობას.

სახალხო მსაჯულები იშვიათად გამოდიან ანგარიშებით თავიანთი მუშაობის შესახებ ამომრჩევლების, შრომითი კოლექტივების წინაშე და მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილას. მრავალი მათგანი ფაქტობრივად არ მონაწილეობს აღმზრდელობითსა და პროფილაქტიკურ მუშაობაში. ფორმალიზმი, ინერტულობა ახასიათებს სახალხო სასამართლოებთან მოქმედ სახალხო მსაჯულთა მრავალი საბჭოს საქმიანობასაც. ისინი საკმარისად არ მოქმედებენ შრომითს კოლექტივებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოსახლეობის საზოგადებრივი თვითმოქმედების ორგანოებთან ერთად სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდის, სამართალდარღვევების თავიდან აცილებისა და სხვადასხვა აღმზრდელობითი ღონისძიების განხორციელების საქმეში.

არასაკმარისად ცნო რა სახალხო მსაჯულთა აქტიურობის გაძლიერებისთვის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მუშაობა, პრეზიდიუმმა მას კონკრეტული დავალებანი მისცა, მიღებულ დადგენილებაში სახალხო მსაჯულებთან მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე შესაბამისი დავალებები მიეცათ სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებსაც. მათ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაპყრონ ამომრჩევლებისა და შრომითი კოლექტივების წინაშე სახალხო მსაჯულთა რეგულარული ანგარიშების მოწყობის პრაქტიკის სრულყოფას, დისციპლინის, წესრიგის, ორგანზებულობის' განმტკიცებაში, სამართალდარღვევების თავიდან აცილებაში მათი როლისა და აქტიურობის გაძლიერებას.

მწვავე და პირუთვნელი საუბარი გაიმართა სხდომაზე საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზაციული მუშაობის წლიური სტატისტიკური ანგარიშების შედგენაში ნაკლოვანებებისა და ხარვეზების საკითხის განხილვის დროსაც. პრეზიდიუმმა ეს საბჭოების მთელ ორგანიზაციულ-მასობრივ მუშაობაში სერიოზულ ხარვეზად მიიჩნია და აღნიშნა, რომ იგი ჯერ კიდევ არ შეესაბამება გარდაქმნისა და დაჩქარების შესახებ პარტიის მოთხოვნებს. ამასთან დაკავშირებით ყველა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს დაევალა საგულდაგულოდ გააანალიზონ და კრიტიკულად შეაფასონ თავიანთი საქმიანობა, მკვეთრად გაზარდონ აპარატის თითოეული მუშაკის პერსონალური პასუხისმგებლობა კანონებისა და დებულებების დაცვისათვის, ანგარიშგებაში დამახინჯებათა დაშვების, ორგანიზაციული მუშაობისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულების მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრისათვის.

პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მოთხოვნათა შესრულების ღონისძიებანი. მისი მითითებების გათვალისწინებით განსაზღვრეს კონკრეტული ამოცანები, რომლებიც ეხება საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაში დემოკრატიული საწყისების განვითარებას, მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა სრულ და ეფექტიან გამოყენებას, აგრეთვე ხელმძღვანელი კადრების მუშაობისადმი კონტროლის გაძლიერებას საბჭოების სესიებზე და მუდმივ კომისიებში მათი მოსმენის, დეპუტატთა მიერ შეკითხვის წესით საკითხის დაყენების პრაქტიკის გაფართოების გზით. კერძოდ, მიზანშეწონილად მიიჩნიეს წესად აქციონ, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომს დაევალა საგულდაგულოდ გააანალიზონ და კრიტიკულად შეაფასონ თავიანთი საქმიანობა, მკვეთრად გაზარდონ აპარატის თითოეული მუშაკის პერსონალური პასუხისმგებლობა კანონებისა და დებულებების დაცვისათვის, ანგარიშგებაში დამახინჯებათა დაშვების, ორგანიზაციული მუშაობისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულების მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრისათვის.

პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მოთხოვნათა შესრულების ღონისძიებანი. მისი მითითებების გათვალისწინებით განსაზღვრეს კონკრეტული ამოცანები, რომლებიც ეხება საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაში დემოკრატიული საწყისების განვითარებას, მათთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა სრულ და ეფექ-

გადაეცათ ჯილდოები

25 თებერვალს საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის მოწინავე მუშაკთა ჯგუფი მიიწვიეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სადაც გიმართა ჯილდოების გადაცემა. რეპორტიორებსა და პუბლიცისტებს, მხატვრებსა და ინჟინრებს, რეჟისორებსა და დიქტორებს, სხვა სპეციალობათა წარმომადგენლებს, რომლებიც დიდხანს და ნაყოფიერად მუშაობენ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში და აქტიურად მონაწილეობენ საზოგადებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, მიენიჭათ „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის“, „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკისა“ და სხვა საპატიო წოდებები.

ამავე დღეს მსახიობებისა და რეჟისორების, რესპუბლიკის თეატრების სხვა მუშაკების ჯგუფს გადასცეს სიგელები „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“, „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ მინიჭების შესახებ, რომლებითაც ისინი დაჯილდოდნენ ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის. ხოლო მშენებლებს, მხატვარ-რესტავრატორებს, არქიტექტორებს, რომლებიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ... ლისის შენობის ლენინის ორდენსანი აკადემიური თეატრის რეკონსტრუქციაში, მიენიჭათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპასტიო სიგელები.

ასეთივე ჯილდოები, აგრეთვე სიგელები რესპუბლიკის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ, გადაეცა ამხანაგების ჯგუფს, რომლებიც დიდხანს და ნაყოფიერად მუშაობენ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში და აქტიურად მონაწილეობენ საზოგადებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, მიენიჭათ „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის“, „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკისა“ და სხვა საპატიო წოდებები.

ამავე დღეს ... ,, „ კომუნისტისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები მეჯლისობენებენ

სტიქია და ადამიანები

მოვემზადოთ ამინდის „სიურპრიზებისათვის“

მთავრდება მესტიის რაიონის ზვავსაშიში ზონებიდან ადამიანთა გამოხიზვნა. ქალაქ მარნეულში, მარნეულის, ბოლნისის, საგარეჯოს, დმანისის, გარდაბნის რაიონებში უკვე დაბინავდა 460 ოჯახი და ისინი უზრუნველყვეს ყველაფერით, რაც აუცილებელია. ეს მოახსენეს საქართველოს სსრ მინისტრთა სახეზოს რესპუბლიკაში სტიქიურ უბედურებებთან ბრძოლის ორგანიზაციისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომას, რომელიც 27 თებერვალს გაიმართა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის მეთაური, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ე. ჩერქეზია.

განიხილეს მთის რაიონების მცხოვრებთა შემდგომი გამოხიზვნისა და მათი შრომითი მოწყობის, ხობის რაიონში დამცავი ჯებირების მშენებლობის მიმდინარეობის, აღდგენითი სამუშაოებისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისების საკითხები.

იმ რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, რომლებშიც ჩამოდიან ადამიანები სტიქიური უბედურებით დაზარალებული რეგიონებიდან, საჭიროა უმოკლეს ვადებში რესპუბლიკის სახაგრომრეწვთან შეთანხმებით გადწყვიტონ ყველა გამოხიზნულისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფისა და მიმაგრების საკითხები.

წყალდიდობისა და ზვავებისაგან სახალხო მეურნეობის დაზგრეული ობიექტების აღსადგენად მზად არიან გაემგზავრონ მოხალისეთა რაზმები, რომლებიც ჩამოაყალიბეს საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და მრავალი რაიონის აღმასკომებმა. ამასთან დაკავშირებით შესაბამისმა ორგანოებმა უნდა განსაზღვრონ იმ დამატებითი მუშახელის რაოდენობა, რომელიც საჭიროა აღდგენითი სამუშაოებისათვის.

25 და 26 თებერვალს რესპუბლიკაში მოსულ დიდ თოვლს ზარალი არ გამოუწვევია. ყველაზე დიდი თოვლი მოვდა ჯვრის უღელტეხილზე, რომლის სიმაღლეც 80 სანტიმეტრს აღემატება. ამჟამად იმ ზონებში, სადაც შესაძლებელია ზვავების, მეწყრების ჩამოწოლა და ღვარცოფების მოვარდნა, მუშაობენ სპეციალისტები — გეოგრაფები, ჰიდროლოგები, მეტეოროლოგები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მთელი რიგი ინსტიტუტების მეცნიერი თანამშრომლები. სხდომაზე საჭიროდ ცნეს გააქტიურდეს გამაფრთხილებელი მუშაობა ამ ზონებში, განსაკუთრებით ლენტეხის, ცაგერისა და ამბროლაურის რაიონებში, მოეწყოს სადღეღამისო მორიგეობა „საქმთავარწყალმშენის“ ქვეგანაყოფებში, ნიადაგ მზად იყოს ჰიდროენერგეტიკული ნაგებობანი იმისათვის, თუ წყალი მოვარდება.

განხილულ საკითხებზე კონკრეტული დავალებები მიეცა წყალდიდობასთან ბრძოლის ქვეკომისიას.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები გ. დ. მგელაძე, ზ. ა. ჩხეიძე.

მორის ფოცხიშვილი

ლილე, ო, ლილე

ვიღაცამ შეძრა დედამიწა, —
ცოდვილი სული
ცადაზიდული ქარიკით გვისტვენს...
ზვარაკად ისევ საქართველო,
ვითარება ქრისტე.

— რატომ ან რისთვის?
ვკითხულობთ ერთხმად,
იქნებ, რაც ხდება, არ იცის ღმერთმა.

რა დროს ლექსებად ლადადია,
ურჩხულ-ვეშაპი იხეხავს კბილებს...
და მაინც,
ლილე ადაშიანს,
ლილე, ო, ლილე!

ახლა ვისაც რა აბადია,
იმ სახსარს იკლებს, —
იქ, სადაც უჭირთ,
ამ ერთ ლუკმით
იცოცხლონ იქნებ?!

ჭირში მყოფ ძმებთან
მიდიან ძმები, —
ო, ხალხო ჩემო, სინათლედ ნნდები!

მერცხალი მერცხალს
მიუტანს მარცვალს,
ბალახს გაუწვდის ირემი ირემს, —
ლილე, ო, ლილე,
ზაფხულ და ზამთარ,
შენს მოწყალეობას
ლილე და ლილე!

ქუდზე გამოსულ
კაცს, როგორც ღმერთკაცს,
ნოეს კიდობანს — ივერიას,
ცხრა წარღვნის მხილველს, —
ლილე, ო, ლილე იმედისა,
ისევ ის ლილე!

შავი ღვარცოფი მთა-ველებს ლირწავს,
სვანი დედები
დასტირიან
გათოშილ შვილებს...
და მაინც —
ლილე შენს სატკივარს,
დედაო მიწავ,
დედაო, ჩემო საქართველოვ,
ლილე, ო, ლილე!

ლილე სიცოცხლეს,
ლილე სიყვარულს,
სულს ზეალმტაცს და
ჯიუტ სხივს ლილე, —
მივლენ, ო, მივლენ,
სიკეთის ხემსით,
ძმები ჭირში მყოფ
ძმებამდე მივლენ!

ლილე აღდგომას,
ნუგეშინს ლილე,
ლილე მშვიდობის ბიბლიურ ფრინველს!

* * *

ჩვენ რომ გვეგონა,
დავიქსაქსეთ,
დავეცით,
დავშთით,
ჩვენ რომ გვეგონა,
დაცალეს
ქამთასვლამ ქართლი,
ჩვენ რომ გვეგონა,
დაძაბუნდა კოლხი ყოველი,
სასოწარკვეთილთ შეგვეხიდა
აზრთამპყრობელი
აზრი ერთობის,
ერთბედობის,
ერთსულოვნების...
ერთურთს შეუდგნენ მხრებში ორბები!

ძიძები ძუძუს აწვდიან ჩვილებს,
არ მორჩილებენ დროს, ვით განაჩენს, —
არის, ო, არის ლილეთა ლილე,
პანგი, რომელიც უნდა გადარჩეს!

კაცმა არ იცის, ვის რა მოელის,
სიკვდილი თითქმის
არვის არ არჩევს, —
არის სვანეთში ხატი, რომელიც
ყველა ვრიგალ-ქარს უნდა გადარჩეს!

აუმღერეველი, დაუდგრომელი,
აღმჩქეფე, სულ რომ
იტანს სატანჯველს,
არის ჩვენს სისხლში გენი, რომელიც
ყველა აღრევას უნდა გადარჩეს!

არის, ო, არის ცათამპყრობელი,
ვინც ჭირში მყოფ მრეველს
უწვდის ყავარჯენს, —
არის ოჯახში ის ყრმა, რომელიც
ყველა წარღვნის დროს უნდა გადარჩეს!

არის თქმული და არის ართქმული,
ის, რაც გულისხმობს
სათქმელს დანარჩენს, —
არის, ო, არის სიტყვა ქართული,
ენა, რომელიც უნდა გადარჩეს!

დედები მაღლა ასწევენ შვილებს,
მზეს შეპღალადებს ფესვი ჯანმრთელი, —
არის ამქვეყნად
სიმღერა — ლილე,
ჭირშიც რომ მღერის თურმე ქართველი!

* * *

ერთი სვედა ძრავს საქართველოს,
ერთი გული აქვს იმერს და ამერს, —
ყივის მამალი
და ყივილით ათენებს ღამეს!

რა მოკლავს ამ ხალხს,
ერთსულოვანს რა მოსპობს ამ ერს, —
ყივის მამალი
და ყივილით ათენებს ღამეს!

მულახის მკერდზე
გგიეებულ ვერტმფრენებს სვამენ
და ფრთებს უწვდიან
ერთის წუთით ფრთებშეჭრილ სვანებს.

რა მოკლავს ამ ხალხს,
ერთსულოვანს რა მოსპობს ამ ერს, —
ყივის მამალი
და ყივილით ათენებს ღამეს!

დიდება შენდა საქართველოვ,
შენს უკვდავ შვილებს, —
ლილე, ო, ლილე იმედისა,
ლილეთა ლილე!!!

ადდგენა — მთელი ფრონტით

— თოვლის უხვი საფარის მიუხედავად, ამჟამად მთლიანად ვაკონტროლებთ ვითარებას, — თქვა პარტიის ლენტეხის რაიკომის პირველმა მდივანმა ალექსანდრე ტოტოჩავამ. — მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ სტიქიური უბედურების „პიკის საათებშიც“ კი არავითარი პანიკა არ ყოფილა. ოპერატიულმა შტაბმა დაუყოვნებლივ მოაგვარა მაშველი სამუშაოები. მოხალისეთა ნაკლებობას არ განვიცდიდით. როგორც კი მეტეოროლოგიურმა პირობებმა ამის საშუალება მოგვცა, „დიდ მიწას“ მოწყვეტილ სოფლებში გავგზავნეთ მოთხილამურეები, ვერტმფრინავების საშუალებით დესანტები სურსათითა და მედიკამენტებით.

სურათებზე: ლენტეხის რაიონის ყველა სოფლსაბჭოში მოგვარებულია ბურის სადღეღამისო ცხობა; ლენტეხელი ბავშვები.

ბ. ბერსამიას და თ. ჯავახაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ზამთარმა ისევ იძალა

თებერვლის ბოლო დღეებში საქართველოში მართლაც რომ ზამთრის დღეებია. დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა და ზღვის სანაპიროზე წვიმს, აღმოსავლეთ საქართველოს მთებსა და ველებში თოვს.

— 25 თებერვლის ჩათვლით დასავლეთ საქართველოში გაზაფხულის თბილი ამინდი იდგა. თერმომეტრის სვეტი 25 გრადუსამდე სითბოს აჩვენებდა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს რესპუბლიკის ჰიდრომეტცენტრის მთავარმა ინჟინერმა დ. დოლიძემ, — ამინდის გაუარესება დროზე და ზუსტად ვივარაუდეთ. 24 თებერვალს ღამით მკვეთრად დაეცა ჰაერის ტემპერატურა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე საშუალოდ 10-15 გრადუსით. დაიწყო ძლიერი წვიმები, დაქროლა ძლიერმა ქარმა. დასავლეთ საქართველოში ქარის სიჩქარემ მიაღწია 22 მეტრს წამში, აღმოსავლეთ საქართველოში. — 28 მეტრს. სამწუხაროდ, ჩვენმა ამ გაფრთხილებამ მოსახლეობის ერთი ნაწილის შეშფოთება გამოიწვია. მაგრამ მინდა შეგახსენოთ: ორი თვის წინათ თბილისში ქარის სიჩქარე წამში დაახლოებით 29 მეტრს აღწევდა, მაგრამ, როგორც იცით, საშიში არაფერი მომხდარა.

რით აიხსნება ამინდის მკვეთრი გაუარესება?

— ერთი კვირის წინათ ამიერკავკასიაში სამხრეთიდან შემოიჭრა ჰაერის თბილი მასები. 24 თებერვალს ღამით ისინი განდევნეს შავი ზღვის მხრიდან შემოჭრილმა ცივმა მასებმა. და ამინდიც აირია. სწორედ ამან გამოიწვია აღმოსავლეთ საქართველოს მიდამოებში ავდარი.

როგორი ამინდია მოსალოდნელი მარტში?

— სამწუხაროდ, ძალზე თბილი. პირველად ხდება, რომ ჰიდრომეტეოროლოგებს არ სურთ, მათი პროგნოზი გამართლდეს. თბილი ამინდი — ჰაერის ტემპერატურა მარტში მოსალოდნელია ნორმაზე 1-2 გრადუსით მეტი, კერძოდ, მთებშიც, — გამოიწვევს მთებში თოვლის სწრაფ დნობას. მკვეთრად გაიზრდება ზვავსაშიშროება მაღალმთიან რაიონებში, ეს კი წყალდიდობის საფრთხეს ქმნის. უახლოეს დღეებში ნელ-ნელა გამოდიდარებს დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთში კი კვლავ ცივი, ღრუბლიანი ამინდი იქნება, დროდადრო წვიმა და თოვლია მოსალოდნელი.

დახმარებამ მანძილი არ იცის

ლიტერატურის დარგში ნობელიანტი ... ...

ეკონომიკა
ფაქტები • მოვლენები

მშვიდობისა და პროგრესის სტრატეგია

ბარდაქმნისა და დაჩქარების სტრატეგია განსახიერებს უაღრესად მშვიდობისმოყვარულ და თანამიმდევრულ პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისა და მსოფლიოს დეშალიტარიზაციისათვის. ეს აზრი ხაზგასმულია ფართო საერთაშორისო გამომბაურებებში სსრ კავშირის პროფკავშირთა XVIII ყრილობაზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მიერ ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაზე.

სოფია. საბჭოთა კავშირი უდიდესი საზოგადოებრივი აღმავლობის ეტაპზეა, წერს **„რაბოტნიჩესკო დელო“**. გარდაქმნა სსრ კავშირში რეალობა ხდება, მისი იდეები ეუფლება მასებს, ხელს უწყობს სოციალიზმის განვითარებას. გარდაქმნის მეშვეობით საბჭოთა ხალხი ამოქმედებს სოციალისტური წყობილების გიგანტურ პოტენციალს. მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა. მოსკოვში საბჭოთა პროფკავშირების ყრილობაზე თვალნათლივ ადასტურებს სსრ კავშირის ურყევ გადაწყვეტილებას იაროს წინ გარდაქმნის, დემოკრატიისა და პროგრესის გზით.

ვაშინგტონი. **„ვაშინგტონ პოსტი“** აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირში ხორციელდება დემოკრატიის განვითარების კურსი, რაც უმრავლესია და ნაკლოვანებების გადალახვის საშუალებას წარმოადგენს. საბჭოთა ხელმძღვანელის ახლანდელი სიტყვა კიდევ ერთი მოწოდებაა საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მეტი ინიციატივის თაობაზე.

ლონდონი. მოსკოვი აცხადებს, რომ მიმდინარე წელი გარდატეხის წელი გახდება სსრ კავშირში გარდაქმნათა ვრცელი პროგრამის რეალიზაციის საქმეში, წერს **„ტაიმსი“**. ინგლისის ტელევიზია განსაკუთრებით გამოყოფს მ. ს. გორბაჩოვის გამონათქვამს იმის თაობაზე, რომ იმპერიალიზმის ძალები ლამობენ არ დაანებონ საბჭოთა კავშირს გარდაქმნათა გეგმების განხორციელება, დაბრკოლონ, შეაფერხონ, ჩაფუშონ ისინი გამალებული შეიარაღება.

ბონი. დასავლეთ გერმანიის ტელევიზია მ. ს. გორბაჩოვის სიტყვის საგარეო-პოლიტიკური ნაწილის განმარტებისას ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი ცდილობს სტიმული მისცეს გარდაქმნის დაწყებას სახელმწიფოთა ურთიერთობებშიც, იმის უზრუნველყოფას, რომ იგი შეესაბამებოდეს თანამედროვეობის რეალურ ამოცანებსა და მოთხოვნებს. ამის შედეგად საერთაშორისო ცხოვრება უკვე გახდა უფრო დინამიკური, განმტკიცდა პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის ვარიანტების ფორმებისა და საშუალებების ძიების ტენდენციები.

რომი. ეს იყო მ. ს. გორბაჩოვის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, მტკიცე სულისკვეთებით გამსჭვალული გამოსვლა, წერს **„უნიტა“**. პროფკავშირთა ყრილობის ტრიბუნიდან გამოითქვა კრიტიკა იმით მიმართ, ვინც ჯერ კიდევ ეწინააღმდეგება გარდაქმნას. გულახდილობის ნიშნით გაანალიზდა თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაც. მ. ს. გორბაჩოვმა მტკიცედ დაადასტურა დიალოგისა და მოლაპარაკების, შეიარაღების შეზღუდვისათვის გამიზნული პატიოსანი ნაბიჯების კურსი.

ტოკიო. მ. ს. გორბაჩოვის სიტყვამ დაადასტურა საბჭოთა ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება განახორციელოს ფართო რეფორმები და დაძლიოს მათი მოწინააღმდეგეების წინააღმდეგობა ქვეყნის შიგნით, გაუკეთებლოს იმპერიალიზმის ძალების ზემოქმედება, რომლებიც გამალებულ შეიარაღებას ახალებენ, წერს **„ასაჰიმატა“**. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა პროფკავშირებს მოუწოდა არა მარტო გადაწყვიტონ სოციალური საკითხები, არამედ აქტიურადაც მიიღონ მონაწილეობა საწარმოო ამოცანების გადაწყვეტაში სახელმწიფო მასშტაბით. შეეხო რა საერთაშორისო პრობლემებს, მან კვლავ მტკიცედ დაუჭირა მხარი შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირებისადმი მიძღვნილი მოლაპარაკების წინსვლის გზების ძიებას და აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი არ გადადგამს არავითარ ნაბიჯს, რომელიც გასცდებოდა გონივრული, საკმარისი თავდაცვის მოთხოვნათა და მოთხოვნილებათა ფარგლებს.

ერთი სიტყვით: ყოჩაღ!..

უბურთო რეპორტაჟი „ბურიის“ სტადიონიდან

აი, თითქმის 2 თვეა, რაც, რომ იტყვიან, ქუდზე კაცია გამოსული ლანჩხუთში სტადიონის მშენებლობაზე. „გურიის“ ღირსეული სტადიონი!“ — ითქვა, და მართლაც ბევრი რამ კეთდება საამისოდ. ეკონომიურ დროში ესწრება ყველაფერი და თითოეულ მშენებელს პირადი ღირსების საქმედ მიაჩნია, არ მოცდეს არც ერთი წუთით. ეს ენთუზიაზმი, ეს სულისკვეთება სუფევს სტადიონის მშენებლობაზე.

შესაქცევი ამ გემოვნებით ნაგები ტრიბუნებს, სტადიონის გარშემო თეთრად მოქთქთეთ სხვა ნაგებობებს, უკვე მზვანედ აბიბინებულ მოედანს, და არ შეიძლება არ დალოცო ის გამრჯე მარჯვენა, რომელმაც უმოკლეს ვადაში შეძლო ყოველივე ეს!

მართალია, სტადიონზე ჯერაც არ დამცხრალა ბოლოდროინდელი თუ ექსკავატორების, გრეიდერებისა თუ ტრაქტორების გუგუნი, მაგრამ აქ უკვე ნამდვილი საფიბურთო ამინდია.

ყოველდღიურად 500—600 კაცი მონაწილეობს ობიექტის მშენებლობაში. მათს განკარგულებაშია 100-ზე მეტი დასახელების ტექნიკა, სხვადასხვა მარკის თვითმცლელები თუ სატვირთო ავტომანქანები; ყველა უბანზე იგრძნობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის ზრუნვა და ყურადღება. აქ ნამდვილი საბალნო ლაშქრობაა გამოცხადებული ობიექტის დროულად ჩაბარებისათვის, რაშიც, რაიონის მშრომელებთან ერთად, მთელი საქართველო მონაწილეობს.

აი, მუშაობაში გართული „საქაგრომშენის“ მთავარი ექსპერტი ნოდარ ქაჯაია, რომელიც სტადიონის მშენებლივ ორგანიზაციების საქმიანობის საკოორდინაციოდ, სამუშაოთა დროულად და ხარისხოვნად შესრულებისათვისაა მომაგრებული. იგი გვაცნობს სტადიონის კეთილმოწყობილ თუ მშენებარე ობიექტებს, გვისახელებს მუყაოთ მშენებლებსა და მექანიზატორებს. მასთან ერთად ვათვალიერებთ მშენებლობის შტაბში მაგიდებზე დახვავებულ სქემიან დოკუმენტებს, კედელზე გაკრულ დიაგრამებს, რომლებიც შეუმცდარად მიგვანიშნებენ მშენებელ ორგანიზაციათა მიერ შესრულებულ სამუშაოთა ავ-კარგს. ფოტოსურათებიც ცხადყოფს, ვინ რითი გამოიჩინა თავი ცალკეულ უბნებზე. ერთი სიტყვით, შტაბში, მართლაც რომ, აფთიაქის სასწორით იწონება შენი, ჩემი, ყველას ღვაწლი.

ცხაკაიელ მშენებელთა (უფროსი — ნოდარ ჯობავა) და მექანიზატორთა ჯაფაც ამ „სასწორითაა“ აწონილი. მათ ხომ ათი-ათასობით კუბური მეტრი გრუნტი შემოზიდეს და ხელისგულივით მოასწორეს მოედნის დაპაობებული ადგილები. ბარაქალა მათ! — ესეც ჩვენი სანაქებო ელექტროშემდუღებლები, — გვეუბნება ნოდარ ქაჯაია და სათითაოდ გვაცნობს ელგუჯა ძნელაძეს, კობა გოგიბერიძესა და გენო ანთაძეს, — ჩოხატაურიდან ჩამოვიდნენ და უსასყიდლოდ მუშობენ აქ დღიდან რკინის კონსტრუქციების გამოჩენისა. მათ შედუღებულს „პენალტიც“ კი ვერაფერს უზამს, — ოხუჯობს ნოდარი.

გზადაგზა მშენებელთა ნახელავს ვათვალიერებთ, კვლავ და კვლავ ვეცნობით გარჯაში გართულ ბიჭებს, ყოველგვარ ამინდში შეუპოვრად რომ იღვწიან და სტიქიასთან ბრძოლის ამ დუხჭირ დღეებშიაც არ მიუტოვებიათ აქაურობა.

სასიქადულოდ შრომობენ „საქაგრომშენის“ მე-8, მე-2 და მე-16 სამშენებლო ტრესტების (მმართველები — შ. ფირცხალაიშვილი, ო. გაბედავა, ვ. შენგელია), „საქმთავარმონტაჟსპეცმშენისა“ (უფროსი — ვ. გამყრელიძე) და საგზაო მშენებლობის სამინისტროს (მინისტრი — ბ. სარალიძე) მშენებლები, რომლებიც ამ სიჩქარეშიც არ ივიწყებენ ხარისხს. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ის მოწინავენიც, შრომის საუკეთესო მაგალითებს რომ იძლევიან: მეექსკავატორეები ვ. გოგიჩაიშვილი და თ. ასკურავა, მებულდოზერენი ს. ახობაძე და ვ. კუნქუულია, მძღოლები ბ. გიორგაძე, ზ. ჩიჩუა, გ. ებრალიძე და სხვანი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

უკვე თამამად შეიძლება თქვა, რომ ეს ჩინებული სტადიონი, რომლის პროექტის ავტორიც კარლო ჩერელაშვილია, დროზე ჩაბარდება. ყველა ძირითადი სამუშაო დამთავრებულია და ახლა ელექტროსაინფორმაციო ტაბლოსა და განათების დამონტაჟება მიმდინარეობს. უკვე ლებავენ ტრიბუნებს, აგებენ ასფალტს, მიწისქვეშა გადასასვლელიც ეწყობა და... სადაცაა, ბურთიც გავარდება!

აი, მაშინ კი... ინებეთ, ნამდვილი, ბურთიანი რეპორტაჟი!..

ბ. ჩხაიძე.

რედაქციისაგან: ჩვენი საკუთარი კორესპონდენტის ამ რეპორტაჟს ზედ სტამბაში ჩაგზავნისას მოუსწრო შემდეგმა კომენტარმა: ქება ქებად, მაგრამ ერთი სასაყვედურიც გვაქვს მშენებელთა მიმართ: სოფელ გრიგოლეთში, შავი ზღვის პირას, „გურიის“ ფეხბურთელთა საწვრთნელი ბაზა შენდება. მოვახსენებთ, ყველაფერს პირველ მარტამდე მოვრჩებითო, კი გვპირდებიან მშენებლები, მაგრამ... ჯერ საქვაბეების დამონტაჟებაც არ დაუმთავრებიათ და სხვა, ვითომდა წვრილმან-წვრილმანი სამუშაოებიც ნელი ტემპით მიმდინარეობს. თანაც სასადილოს დამთავრება-კეთილმოწყობაც გვიჟამებენ დათქმულ ვადაში. იმედია, მშენებლები არც აქ შეირცხვენენ თავს.

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

საფურნირო ორბიტა

ᲞᲐᲓᲠᲐᲯᲘ. ესპანეთის ქალაქ ლინარესში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტის ანატოლი კარპოვისა და ანდრია სოკოლოვის მატჩის მეორე პარტია დამთავრდა კარპოვის გამარჯვებით. ახლა ანგარიშია 1,5:0,5 კარპოვის სასარგებლოდ.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. უმაღლესი ლიგის ჯაჭვა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის მორიგი კალენდარული მატჩი რომ თბილისის „დინამომ“ საკუთარ მოედანზე ლენინგრადის „სპარტაკთან“ წააგო, ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან. ამის შემდეგ „ფინალურ ექსკურსში“ მოასპარეზეთა სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ცსკა — 25 მოგება, კაუნასის „ჟალგირისი“ — 22, თბილისის „დინამო“ და ლენინგრადის „სპარტაკი“ — 18-18, დონეცკის „შახტიორი“ — 15, რიგის ვეფი — 13. ამ ნუსხაში შეტანილი არ არის ცსკა-სა და „შახტიორის“, აგრეთვე ვეფისა და „სპარტაკის“ გუშინდელი მატჩების შედეგები. თბილისის „დინამო“ მომდევნო ორ მატჩს საკუთარ მოედანზე გამართავს: 3 მარტს უმასპინძლებს ცსკას, 4 მარტს — ვეფს. ჩვენი დინამოელები 8 მარტს ითამაშებენ დონეცკში ადგილობრივ „შახტიორთან“, 15 მარტს თბილისში უმასპინძლებენ „ჟალგირისს“, 18 მარტს კი ლენინგრადში შეხვდებიან „სპარტაკს“.

ᲮᲔᲚᲒᲣᲠᲗᲘ. იტალიის ქალაქ ბოლცანოში დამთავრდა ვაჟთა გუნდების მსოფლიო ჩემპიონატის („უ“ კლასი) ნახევარფინალური ჯგუფებში ასპარეზობა. პირველ ჯგუფში უძლიერესი იყო სსრ კავშირის ნაკრები, მეორეში — ჩეხოსლოვაკიისა. გუშინ ამ გუნდებს შორის ფინალური მატჩი გაიმართა. ეს შეხვედრა გვიან ღამით დამთავრდა. ნახევარფინალურ ჯგუფში გამარჯვების შედეგად საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელმა ხელბურთელებმა ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

ᲛᲔᲥᲚᲔᲘᲗᲜᲝᲒᲐ. ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ გარდენის“ დარბაზში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა ჰ. დრეხსლერმა (გდრ). ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში მისი სარეკორდო მაჩვენებელი იყო 732 სმ.

ს. ს. მამულია

ქართველ ისტორიკოსთა რიგებს გამოაკლდა მრავალმხრივ განათლებული, ერუდირებული მეცნიერი სერგო სამსონის ძე **მამულია.**

იგი დაიბადა თბილისში 1928 წელს ცნობილი პარტიული მუშაკის სამსონ მამულიას ოჯახში. საკავშირო იურიდიული დაუსწრებელი ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დამთავრების შემდეგ 1946 წელს ს. მამულიამ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისპირანტურაში. 1950 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტში და მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

1949-1956 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კათედრის ასისტენტი. 1955 წელს შევიდა სკკპ რიგებში. 1956-1957 წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორი იყო, ხოლო შემდეგ — ლექტორი. 1961 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად მუშაობდა.

ს. მამულია მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. იგი მუშაობდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის საბჭოთა საქართველოს, ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებთან მისი თანამშრომლობის ისტორია, საბჭოთა საგარეო პოლიტიკა და განიარაღების პროგრამა, განიარაღების პრინციპის პოლიტიკურ-სამართლებრივი გაგების ბურჟუაზიული კონცეფციების კრიტიკა, ბირთვული იარაღის აკრძალვის პრობლემა, საყოველთაო უშიშროების უზრუნველყოფა განიარაღების დროს და სხვა. მისი ნაშრომები გამოირჩევა ანალიტიკური სიღრმით, მასალის სიახლით, პრობლემების ორიგინალური ინტერპრეტაციით.

ს. მამულიას ნათელი ხსოვნა მარად დარჩება კოლეგებისა და ამხანაგების გულში.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

რედაქტორი
გ. ᲒᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 81 წლისა გარდაცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დამფუძნებელი, ეკონომიკისა და სოციოლოგიის განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პაატა ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ტელევიზიის ერთი ქვირის პროგრამა

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 2 ᲛᲐᲠᲢᲘ

პირველი პროგრამა. 16.25 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.35 — მოსწავლეთათვის. რუსული ენა. 17.05 — საქართველოს ისტორია. 17.35 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 17.45 — რჩევადარიგება ახალგაზრდა დედებს (რეგმატიზმის პროფილაქტიკა ბავშვთა ასაკში). 18.10 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 18.40 — მოსწავლეთათვის. „ჩემი კომკავშირი“. 19.10 — დიალოგი პოლიტიკურ თემაზე. 19.30 — ახალგაზრდობისათვის. საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის შესახვედრად. 19.45— — დღეს მსოფლიოში (მ.). 19.55 — განცხადებები. 20.00 — მოამბე. 20,35 — საქართველოს ტელეფილმი — „ახალგაზრდობა, პრობლემები“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ლაბტის გაკვეთილი“. 18.20 — მოსწავლეთათვის. „წყაროსთვალი“ (აფხაზეთის ასსრ შექმნის 66 წლისთავის გამო). 18.55 — „იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებები ცხოვრებაში“ (დემოკრატიის განვითარება). 19.25 — მოამბე. 20.00 — ფეხბურთი ევროპის ჩემპიონთა თასზე. მეოთხედფინალი. თურქეთის „ბეშიკტაშ“ — კიევის „დინამო“. გადაცემა თურქეთიდან. (მ.). 20.45 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო“ — რიგის „ვეფი“. რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან. 21.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სოხუმი“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — კონცერტი. 23.30 — სპორტული პრაგრამა.

მეორე პროგრამა. 16.10 — დოკუმენტური ფილმი „კულიკოვის მინდორი“. 16.30 — მხატვრული ფილმი „ყოველი მეათე“. 17.35 — განცხადებები. 17.40 — დოკუმენტური ფილმი „ცხოვრების წვრილმანები“. 18.10 — მოსწავლეთათვის. — მათემატიკა.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 5 ᲛᲐᲠᲢᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — ჩვენს დედ სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ნოვგოროდი“. 10.15 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის — საკავშირო მუსიკალური ფესტივალის „მშვიდობა, მუსიკა, ტურიზმი“ დახურვისადმი მიძღვნილი კონცერტი. 11.35 — მასწავლებლის საათი. საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია. 12.05 — საინფორმაციო გამოშვება. 12.20 — ამბტურინეტმათვის. ქიმია. 16.30 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.40 — შევიდწავლოთ ინგლისური ენა. 17.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 17.20 — დოკუმენტური ფილმი „ლაურას საიდუმლოება“. 17.30 — უმცროსკლასელთათვის. „თქვენთვის პატარებო!“. 17.55 — საქართველოს ტელეფილმი — „ახალგაზრდობა, პრობლემები“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „15 წლის შემდეგ“. 18.25 — „მშობლიური ხეობები“. 18.45 — „დიალოგი სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან“. 19.25 — მოამბე. 20.00 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო“ — ცსკა. რეპორტაჟი თბილისის სპორტის სასახლიდან. შესვენების დროს (20.40) ახალგაზრდობისათვის. საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის შესახვედრად. 21.30 — ახალგაზრდობისათვის. გაგაცნობთ საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის დელეგატს — თამაზ კაკაბაძეს. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ჩვენი საუკუნე გიცავს უახლესი. 22.45 — საქართველოს ტელეფილმი: „ახალგაზრდობა, პრობლემები“. სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ლაქა“.

მეორე პროგრამა. 16.05 — მხატვრული ფილმი „არმია“ ჩემი სიცოცხლე“, 17.20 — განცხადებები. 17.25 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მეკარე“. 18.10 — მოსწავლეთათვის. გეოგრაფია.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 4 ᲛᲐᲠᲢᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ოპერაცია „ანსამბლი“. 10.15 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.25 — დოკუმენტური ფილმი „ადამიანთა გულში“. 11.15 — სატელევიზიო ჟურნალი „თვალსაწიერი“ (განმეორებით). 11.55 — მასწავლებლის საათი. ბუნების დაცვა. 12.25 — დოკუმენტური ფილმი. 12.40 — მათემატიკის ტელეკურსი. 13.10 — საინფორმაციო გამოშვება. 16.25 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.35 — შევისწავლოთ ფრანგული ენა. 17.15 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 17.25 — „საქართველოს ტელეფილმი — ახალგაზრდობა, პრობლემები“. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფალავნები“. 17.55 — ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა სსრ კავშირის დიდი აკადემიური თეატრიდან (მ.). 19.15 — მოამბე. 19.50 — ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის ვიდეოჩანაწერი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან. 20.50 — სუმრად მიბეიღ ლაგოიანთან. 21.55 — საქართველოს სანაოსნო — ცისფერ გზებზე. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ახალგაზრდობისათვის. საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის შესახვედრად. 23.40 — ახალგაზრდების ხელოვნება. კ. ცაბაძის კონცერტი ალტისა და კამერული ორკესტრისათვის.

მეორე პროგრამა. 16.45 — მხატვრული ფილმი „მოქალაქენი“. 18.10 — მოსწავლეთათვის. ფიზიკა.

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ 7 ᲛᲐᲠᲢᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი. 10.15 — შევისწავლოთ ქართული ენა. 10.45 — ახალგაზრდების ხელოვნება. მღერის დ. კვანტალიანი. 11.05 — პოეზიის ხუთი წუთი. 11.10 — სატელევიზიო პროგრამა „ჯანმრთელობა“. 11.40 — სპორტის დღესასწაული“. 13.10 — გლობუსი. 14.00 — შევისწავლოთ რუსული ენა. 14.25 — „უიარაღო მსოფლიოსათვის“. ფორუმის შედეგები (მ.). 14.55 — ვერნისაჟი. ნიკო ფიროსმანაშვილის გამოფენა მოსკოვში. 15.45 — პოეზიის ხუთი წუთი. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. „სამხრეთი საზღვრების სადარაჯოზე. 16.45 — უფროსკლასელებისათვის. „თეატრალური თალპიონი“ (ვიქტორიანა). 17.45 — საოპერო მუსიკის ზეიმი ქუთაისში „გადაცემა IV“. 19.05 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 19.15 — შემეცნებითი-გასართობი პროგრამა ახალგაზრდობისათვის. 20.00 — მოამბე. 20.35 — „საქართველოს ტელეფილმი — ახალგაზრდობა, პრობლემები“. დოკუმენტური ფილმი „ახალგაზრდები ახალგაზრდებზე“. 21.00 — ახალგაზრდობისათვის. საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის დღიური. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული პროგრამა.

ᲙᲕᲘᲠᲐ, 8 ᲛᲐᲠᲢᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.55 — მულტიპლიკაციური ფილმ „ბებია, მასწავლე“. 10.10 — დილის კონცერტი. 11.00 — სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები. 11.30 — კინოფიშა. 12.00 — ახალგაზრდობისათვის. საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის შესახვედრად. 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მ.). 19.45 — ზღაპრის გუდა. 20.00 — მოამბე. 20.35 — ახალგაზრდობისათვის. საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის შესახვედრად. 20.50 — რედაქციაში წერილი მოვიდა — „უსასყელო დანაშაული“. 21.10 — ჩვენი პრემიერა. ქართული სატელევიზიო ფილმ-კონცერტი „მღერის ცისანა ტატიშვილი“ (საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის ნაწარმოები). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — პირველად ჩვენს ეკრანზე მხატვრული ფილმი „სიყვარული და მტრედები“.

1 ᲛᲐᲠᲢᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.55 — ტელეფილმ „ბებია, მასწავლე“. 10.10 — დილის კონცერტი. 11.00 — სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები. 11.30 — კინოფიშა. 12.00 — ახალგაზრდობისათვის. საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის შესახვედრად. 12.10 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. მოძმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება (უკრაინა). 12.40 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.10 — ახალგაზრდობისათვის. საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის შესახვედრად 13.20 — მოსწავლეთათვის. „წიგნად შეკრული სხივები“. 14.10 — „გაზაფხულს — გამართული ტექნიკა“. 15.00 — „ჯანმრთელობა“ (მ.). 15.45 — „ვესტნიკი“. 16.15 — „მოწოდება, ვინ აიხობს პუოს“. საქართველოს ტელევიზიის ახალგაზრდობის მთავარი რედაქციის საკინკურსო გადაცემა (მ.). 16.45 —ახალგაზრდობისათვის. საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის შესახვედრად. 17.00 — „თბილისი და თბილისელები“. სატელევიზიო ჟურნალი. 17.35 — ლიტერატურული თეატრი. „მაშ გაუმარჯოს დაუშეკნობელ სიჭაბუკესა“ (ი. ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის გამო). 18.10 — ხალხური შემოქმედება. კონცერტი. 18.50 — ახალგაზრდობისათვის. საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის შესახვედრად. 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მ.). 19.45 — ზღაპრის გუდა. 20.00 — მოამბე. 20.35 — ახალგაზრდობისათვის. საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის შესახვედრად. 20.50 — რედაქციაში წერილი მოვიდა — „უსასყელო დანაშაული“. 21.10 — ჩვენი პრემიერა. ქართული სატელევიზიო ფილმ-კონცერტი „მღერის ცისანა ტატიშვილი“ (საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის ნაწარმოები). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — პირველად ჩვენს ეკრანზე მხატვრული ფილმი „სიყვარული და მტრედები“.

1 ᲛᲐᲠᲢᲘ

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 9.55 — მულტიპლიკაციური ფილმი, „ერთი გოჯი“. 10.15 — დილის კონცერტი. 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები“. 11.30 — კინოფიშა. 12.00 — ახალგაზრდობისათვის. საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის შესახვედრად. 12.10 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის. მოძმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება (უკრაინა). 12.40 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.10 — ახალგაზრდობისათვის. საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის შესახვედრად 13.20 — მოსწავლეთათვის. „წიგნად შეკრული სხივები“. 14.10 — „გაზაფხულს — გამართული ტექნიკა“. 15.00 — „ჯანმრთელობა“ (მ.). 15.45 — „ვესტნიკი“. 16.15 — „მოწოდება, ვინ აიხობს პუოს“. საქართველოს ტელევიზიის ახალგაზრდობის მთავარი რედაქციის საკინკურსო გადაცემა (მ.). 16.45 —ახალგაზრდობისათვის. საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის შესახვედრად. 17.00 — „ᲛᲘᲡᲘᲠᲘᲛᲘ“



1 ᲛᲐᲠᲢᲘ

პირველი პროგრამა. 8.00 — დილის ვარჯიში. მულტფილმი. მუსიკა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — კონცერტი. 9.30 — რიტმული ტანვარჯიში. 10.15 — სპორტლოტო“. 10.30 — მაღვიძარა. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — დილის ფოსტა. 12.30 — კინოფიშა. 13.15 — „ერალაში“ 13.30 — მუსიკალური კითხვა. 14.00 — სოფლის საათი. 15.00—ჯანმრთელობა. 15.45 — „ამხანაგი სიმღერა“. 16.15 — „მოწოდება“. ტელეჟურნალი. 16.45 და 20.45 — ახალი ამბები. 16.50 — სტუმრად ზაპარეთან. 18.15 — ეს თქვენ შეგიძლიათ. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — ლენინგრადელ ლიტერატურის მასწავლელის ე. ნ. ილინის ფიქრები ტელემაყურებელთა წერილებზე. 20.55 — მხატვრული ტელეფილმი „გამოძიება დაიწყოს“. „ვერსია“. II სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — კონცერტი. 23.20 — „თქვენ გეპატიჟებიან ფიგურული ციგურაობის ოსტატები“. 0.40 — ახალი ამბები. 0.45 — საკალათბურთო მიმოხილვა.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — მხატვრული ტელეფილმი „გამარჯობათ, გულნორა რახიმის ასულო!“. 10.25 — „ნაირის ქვეყნის სამყერები“. 10.50 — რუსული მეტყველება. 11.20 — კონცერტი. 11.50 — ლენინგრადის ტელესტუდიის პროგრამა. 13.10 — ა ს. პუშკინი. „ევგენი ონეგინი“. ლიტერატურული ეტიუდები. 14.10 — საზრიანთა კლუბი-87. 16.10 — საკონცერტო პროგრამა გდრ-დან. 17.25 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 18.00 — კალათბურთი. ცსკა — „ჟალგირისი“. 19.45 — დოკუმენტური ფილმი. 20.05 — მულტფილმები. 20.40 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მხატვარი ბორის შჩერბაკოვი“. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო